

მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია

მეორე ენის სწავლა/სწავლება  
მულტილინგვური განათლების კონტექსტში

11-13 სექტემბერი

თეზისების კრებული

**რედაქტორები:**

კახა გაბუნია

მანანა რუსიეშვილი

რუსუდან დოლიძე

გიული შაბაშვილი

თეა თათეშვილი

თსუ გამომცემლობა  
2023

### დებიტიური წინადადებები რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში

ენის შესწავლის ანთროპოლოგიური პრინციპი ამჟამად წამყვანია მეორე / უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიასა და პრაქტიკაში. ამ პრინციპის შესაბამისად, აუცილებელია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის სამყაროს ენობრივი სურათის შემეცნება. აღნიშნულ პროცესში სინტაქსისა და სინტაქსური ურთიერთობების შესწავლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან "სინტაქსი მოგვითხრობს არა იმდენად იმაზე, თუ რა სამყაროს სურათის შემადგენელი ელემენტებია ცნობილი ადამიანისთვის, არამედ იმაზე, თუ როგორ არის ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული". სწორედ სინტაქსურ სტრუქტურებში ხორციელდება ლინგვისტური პიროვნების ცნობიერებაში ასახული ექსტრალინგვისტური რეალიებს შორის მიმართებებისა და კავშირების რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, ენისა და, შესაბამისად, ეროვნული აზროვნების გზების შესწავლა შეუძლებელია წინადადებაში სინტაქსური კავშირების თავისებურებათა და გამოთქმის დონეზე მათი განხორციელების გააზრების გარეშე. „ჩვენ უნდა დავიჭიროთ არა განსაკუთრებული ეროვნული ობიექტები, რადგან ასეთები არც ისე ბევრია და მათ ცოტა რამის ახსნა შეუძლია, არამედ დავიჭიროთ საგნებისა და ცნებების ის განსაკუთრებული შეფარდება, რომელიც საერთოა ყველა ადამიანისა და კულტურისათვის“. ამრიგად, იმისთვის, რომ ვისწავლოთ არამშობლიურ ენაზე საუბარი და წერა, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვიცოდეთ, არამედ ვგრძნობდეთ მის სინტაქსურ წყობას. შესასწავლი ენის სინტაქსური სემანტიკის სირთულეების დაუფლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზეპირი და წერიტი მეტყველების პროდუქტიული უნარების ფორმირებისთვის, არამედ სხვა ადამიანების მეტყველებაში კომუნიკაციური ინტენციის გაგებისათვის, იმ განსაკუთრებული ემოტური და ვოლუნტატური ნიუანსებისა, რომლებიც ყოველთვის არ არის აშკარად გამოხატული, მაგრამ შეიძლება იმალებოდეს წინადადების თვით გრამატიკულ სტრუქტურაში. იმ სინტაქსური სტრუქტურების რიცხვს, რომელთა შესწავლა რთულია რუსულის როგორც უცხო ენის ქართველ შემსწავლელთათვის, მიეკუთვნება ე.წ. დებიტიური წინადადებები - დამოუკიდებელი ინფინიტივის შემცველი კონსტრუქციები. ამგვარი კონსტრუქციების ენობრივი ექვივალენტი ქართულში არ მოიძებნება, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი შინაარსის გადმოცემა პირდაპირი თარგმანის გამოყენებით. დებიტიური წინადადებების ათვისებამ ქართველი მსმენელის მიერ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები როგორც სემანტიკური, ასევე გრამატიკული თვალსაზრისით, რადგან მათ არ აქვთ რუსული ენისათვის დამახასიათებელი სუბიექტი სახელობით ბრუნვაში, ხოლო ინფინიტივით გამოხატული პრედიკატი დამოუკიდებელია. იმავედროულად, დებიტიური წინადადებები ძალზედ დამახასიათებელია რუსული ენისათვის მათი განსაკუთრებული ემოციურობისა და მათ მიერ გამოხატული მოდალური შეფასებების მრავალფეროვნების გამო. ენის მატარებლები ინტუიტიურად იგებენ და იყენებენ დებიტიურ წინადადებებს მეტყველებაში. სტილისტურად მსგავსი კონსტრუქციები დამახასიათებელია სასაუბრო მეტყველებისათვის და ამ მეტყველების სტილიზაციის შემცველი მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტებისათვის.

მოხსენების მიზანია იმ დებიტიური წინადადებების სემანტიკისა და პრაგმატიკის კუთხით ანალიზი, რომლებიც გვხვდება ავტორების მიერ შედგენილ რუსულის, როგორც უცხო ენის დამხმარე სახელმძღვანელოებებში. ანალიზი შესაძლებელს გახდის იმის გაგებას, თუ რომელი დებიტიური წინადადებები გამოიყენება რა სიტუაციებში და შემდგომში ეს ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური რეკომენდაციების გამომუშავებას დებიტიური წინადადებების სწავლებისათვის ქართულენოვან აუდიტორიაში რუსულის როგორც უცხო ენის მეცადინეობებზე მითითებული სასწავლო მასალების გამოყენებით.

დასახელებული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ანალიტიკურ-

სინთეტიკური მეთოდი, უწყვეტი შერჩევის მეთოდი, კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი, შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი.

ძირითადი შედეგები. შეგროვებული მასალა მოიცავს დებიტიური წინადადებების მრავალფეროვნებას მათ მიერ გამოხატული მოდალური მნიშვნელობების ტიპის მიხედვით. დებიტიური წინადადებები გვხვდება ძირითადად დიალოგებში, რომლებიც მოითხოვს ინფორმაციის გადაცემის შეკუმშულ კითხვა-პასუხის ფორმას. ამ ასპექტში, მოსწავლეებისთვის სასარგებლოა დავალებები, გამოიყენონ ასეთი კონსტრუქციები საკუთარ დიალოგებში. ჩვენ შევჩერდით ზოგიერთი მოდელის მახასიათებლებზე. განიხილება, კერძოდ, დებიტიური წინადადებები (უარყოფითი და დადებითი), რომლებიც გადმოსცემენ შესაძლებლობის/ შეუძლებლობის მნიშვნელობას; აუცილებლობის მნიშვნელობის გამომხატველი ინფინიტიური წინადადებები; დებიტიური წინადადებები სასურველობის მნიშვნელობით. მოდალური მნიშვნელობების ექსპლიკაციისათვის ეს სტრუქტურები იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის ასპექტისა და კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებს, წინადადებაში სიტყვათა განლაგების თანმიმდევრობას და ინტონაციას, ინფინიტივების ლექსიკურ მნიშვნელობებს და ნაწილაკებს. განსახილველი კონსტრუქციების მნიშვნელობის ასახსნელად გამოიყენება სამეტყველო ნიმუშები და ჩანაცვლება სინონიმური ერთშემადგენლიანი და ორშემადგენლიანი წინადადებებით. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია დებიტიური კონსტრუქციის სტრუქტურა, მისი მნიშვნელობა და ამ კონსტრუქციის ეკვივალენტი სინონიმური კონსტრუქცია. განათლების ფილოლოგიურ პროფილზე შესაძლებელია ლექსიკური მასალის გამოყენება რუსული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებიდან. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების კულტურათმცოდნეობითი კომპეტენციის ჩამოყალიბებას, ანუ მათი ცოდნის გაფართოებას შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის შესახებ.

#### **ანთამე-მალაშხია ფატმან**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქართულ უნივერსიტეტებში სპარსულის სწავლების რიგ ასპექტათვის**

საუბრობენ რა უცხო ენის სწავლებაში პოსტმეთოდური ხანის დადგომაზე, რიგი მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს სწავლება სხვადასხვაგვარი მეთოდისა თუ მიდგომის კომბინირებულ გამოყენებას, პრაქტიკისა და თეორიის სხვადასხვა პერსპექტივიდან შეკავშირებას უნდა ეფუძნებოდეს (J. Richards & T. Rodgers 2001, 250). ტიპოლოგიურად ორიენტირებული სწავლება ამარტივებს უცხო ენის შეთვისებას.

სპარსული ენის ცოდნის ნულოვანი დონისთვის გამიზნული და სტუდენტებთან რამდენიმეჯგუფის წარმატებით აპრობირებული ჩვენ მიერ შემუშავებული ერთსემესტრიანი საუნივერსიტეტო საცდელი კურსი სწორედ ტიპოლოგიურ მიდგომასა და შესაბამისად, სპარსულ და ქართულ ენათა მსგავსება-სხვაობათა წარმოჩინებაზეა ორიენტირებული. ამ კურსში ენობრივმა შეპირისპირებამ მოიცვა ფონეტიკურ-პროსოდიული, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ასპექტები. გამოყენებული იყო ასევე სპარსულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ენობრივი ურთიერთობების შედეგად შემოსული ნასესხობათა რესურსი, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტთა ადაპტირებას სრულიად უცხო ენობრივ გარემოსთან.

ადაპტაციის გაადვილებას ემსახურებოდა ასევე პირველი ორი-სამი სასწავლო კვირის განმავლობაში სპარსულ სიტყვათა ტრანსკრიბირებული სწავლება მცირედ მოდიფიცირებული ქართული ანბანის მეშვეობით, რომელიც ზედმიწევნით მოერგო სპარსულ ბგერით სისტემას. ამავდროულად სპარსული ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულებისა და მარტივი კომუნიკაციური მოდელების ქართული ტრანსკრიფციით დაუფლების პარალელურად სტუდენტები პირველივე ლექციიდანვე სწავლობდნენ მათთვის საკმაოდ უჩვეულო და

ფონეტიკური თვალსაზრისით ნაკლოვან სპარსულ ანბანს.

სპარსულ ნასესხობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ქართულში, ნაწილი კი ხმარებიდან გავიდა. რიგ შემთხვევებში ქართულში შემოსული ნასესხობისა და მისი სპარსული ეტიმონის მიმართება გულისხმობს სემანტიკურ ცვლილებას, მონოსემიზაციას ან პოლისემიზაციასა და სტილისტურ მარკირებას. ამგვარი ნასესხობები უცხო ენის შეთვისების საწყის ეტაპზე შემაფერხებელ და დამაბნეველ ფაქტორად გვევლინება და ამიტომაც ისინი არ გამოგვიყენებია.

დამწყებ სტუდენტებთან ნასესხობები და მათი ეტიმონები შემდეგი ნიშნებით შეირჩა: ხშირად გამოყენებული, სტილისტურად ნეიტრალური და მსესხებელ ენაში სემანტიკურად უცვლელი სახელადი, ძირითადად, საგნობრივი შინაარსის ლექსიკა. საგნობრივ-სემანტიკურმა ჯგუფებმა სპარსულ-ქართულ მიმართებათა შემთხვევაში ძირითადად მოიცვა საკვების, ჭურჭლის, ინტერიერისა და ექსტერიერის კომპონენტთა სახელწოდებები, სპარსულიდან ქართულში შემოსული ეთნონიმები და ტოპონიმები, ასევე სპარსულიდან ქართულში კალკირებული იდიომები. საილუსტრაციო მაგალითებში ვიყენებდით ქართულში დამკვიდრებულ სპარსულ ანთროპონიმებს.

ამგვარ მკაფიო და გაურთულებელ შესატყვისობებზე გეზის აღებამ დამწყებ სტუდენტებს გაუადვილა სპარსულის შეთვისების პროცესი და კარგი ბაზა შეუქმნა სწავლების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

ვფიქრობთ, ამგვარი კომბინირებული მიდგომების მორგება ნაყოფიერი იქნება იმ სტუდენტებთანაც, რომელთა მშობლიურ ენაში არსებობს ხშირად გამოყენებულ სპარსულ ნასესხობათა მარაგი. გასათვალისწინებელია ასევე დროის მოგების მიზნით სპარსული ანბანის სწავლის პარალელურად საბაზისო ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების დაუფლება კარგად მორგებული ტრანსკრიფციის საშუალებით.

## **არაბული ნანა**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

### **ქართული ზმნის რამდენიმე მოდელის სწავლებისათვის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის**

ზმნას ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციისთვის აქვს სპეციფიკური და ძალიან მნიშვნელოვანი როლი, ამიტომ ენის შესწავლის პროცესში ზმნის და მასთან დაკავშირებული გრამატიკული კონსტრუქციების სწავლება ერთ-ერთი საჭირო და რთული საკითხია. ქართულში ერთ ზმნას შეეწყობა რამდენიმე პირი და, ამასთანავე, ეწარმოება ერთდროულად რამდენიმე კატეგორია, ეს კი წარმოქმნის განსხვავებულ ფორმებს და გრამატიკული კონსტრუქციების აგებაც სხვადასხვაგვარად ხდება. სწავლების პროცესს ართულებს ისიც, რომ არ არსებობს ერთიანი მოდელი, რომელშიც მოექცევა ზმნათა უმრავლესობა ფორმაწარმოების თვალსაზრისით. თუ სწავლების პირველ საფეხურზე შემსწავლელი ახერხებს ზმნების გარკვეული რაოდენობის ფორმათა და გრამატიკულ კონსტრუქციათა მექანიკურ დამახსოვრებას, ენის ფლობის ზედა საფეხურებზე ეს შეუძლებელი ხდება ფორმათა სიმრავლისა და განსხვავებულობის გამო.

ზმნის სწავლა-სწავლებაში შექმნილმა პრობლემებმა გააჩინა საჭიროება, რომ ენის ფლობის ა2 საფეხურიდან, ეტაპობრივად, მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა გარკვეული მოდელები, რომლებიც დაეხმარებოდა მათ ზმნის ფორმათა წარმოებასა და გრამატიკული კონსტრუქციების აგებაში; კერძოდ, საქმე ეხება მესამე სერიის მწკრივში ( I თურმეობითში) -ებ და -ობ თემისნიშნის ზმნათა უღლებისა და გრამატიკული კონსტრუქციის აგების საკითხს.

მესამე სერიაში, გარდა ზმნის სპეციფიკური ფორმაცვლებისა (მესამე სერიაში ზმნა იყენებს პირველი ან მეორე სერიის თემას), ადგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიასაც მოქმედებითა და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებში, რაც გრამატიკული კონსტრუქციის სწორად ასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია.

ცნობილია, რომ -ობ თემისნიშნთან ზმნებს, როგორც თანხმოვანზე ფუძედაწყებულ, ასევე ქცევის ნიშანდართულებს, მოუდის პირის ნიშანთა ინვერსია და I თურმეობითის საწარმოებლად ორივე ჯგუფი იყენებს მეორე სერიის თემას; ამავე მოდელს მიჰყვება თანხმოვანზე ფუძედაწყებული -ულობ დაბოლოებიანი ზმნებიც.

მაგალითად: ვარჯიშობ-ივარჯიშე-გივარჯიშია, ათობ -გათბე -გაგითბია, ყიდულობ-იყიდე-გიყიდა.

მოქმედებითი გვარის -ებ თემისნიშნთან ზმნები I თურმეობითში იყენებენ I სერიის თემას; აღსანიშნავია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებს მოუდის პირის ნიშანთა ინვერსია: (გამიკეთებია მე ის/ გაუკეთებია მას ის; ამიშენებია მე ის/აუშენებია მას ის); ვნებითები გვარის -ებ თემისნიშნთან ზმნათა უმეტესობა იყენებს მეორე სერიის თემას (შენიშვნა: გამონაკლისია უნიშნო ვნებითები, რომლებიც პირველ და მეორე სუბიექტური პირის ფორმის საწარმოებლად I თურმეობითში იყენებს მეშველზმნთან წარმოებას, ხოლო მესამე სუბიექტური პირის შეწყობის შემთხვევაში გვაძლევს პირველი სერიის თემაზე აგებულ I თურმეობითის ფორმას (მაგალითად: მისალმება-მისალმებია/მისალმებია/მისალმებია; მომსალმებია/ მოგსალმებია/ მოგსალმებია); განსხვავებულ წარმოებას გვაჩვენებენ დონიანი ვნებითები (დუღდება-ის/ადუღებულა-ის) ნაშრომში ყურადღება გამახვილდება მოქმედებითი გვარის -ებ და -ობ თემისნიშნთან ზმნათა I თურმეობითის მოდელის საშუალებით წარმოებასა და მათთან დაკავშირებული ზმნური კონსტრუქციების აგებაზე.

ნაშრომში წარმოდგენილი ზმნები აღებულია ა1, ა2, ბ1 და ბ2 დონის წიგნებიდან: „აღმართი“ მოხსენების მიხედვით, მიაწოდოს -ობ და -ებ თემისნიშნთან ზმნების მწკრივთა წარმოების მარტივი მოდელი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს და მოსწავლეებს.

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ შემსწავლელი I თურმეობითის მწკრივის ფორმათა წარმოებას ეცნობიან ენის ფლობის ბ1/ბ1+ საფეხურზე; იქამდე მათ შეუძლიათ პირველი და მეორე სერიის მწკრივებში ზმნათა უღლება (ფორმაწარმოება) და გრამატიკული კონსტრუქციების აგება. აქვე ცალ-ცალკე იქნება კლასიფიცირებული და ზოგადად განხილული -ებ თემისნიშნთან ვნებითი და საშუალ-მოქმედებით გვარის I თურმეობითის წარმოების საკითხიც, როგორც შემდგომი დაკვირვების საგანი. ასევე შევეხებით II თურმეობითის წარმოების საკითხსაც.

## **აფთარაშვილი ია, წერეთელი მზია**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების კონცეპტუალური ჩარჩოს როლი და მნიშვნელობა**

დიგიტალიზაციის პროცესმა არსებითად შეცვალა განათლების სისტემა. ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში ქმნის როგორც ინოვაციური სწავლების მეთოდების შემუშავების აუცილებლობას, ასევე, იწვევს ზოგადად ტრადიციული სწავლების პარადიგმის ცვლილებას. გასული წლების განმავლობაში, კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებულმა გამოწვევამ (სწავლა-სწავლების ონლაინ ფორმატზე გადასვლა) კიდევ უფრო მკაფიო გახადა შემსწავლელის დამოუკიდებლობისა და თვითრეგულაციის უნარების კრიტიკული მნიშვნელობა სწავლისა და სწავლების პროცესისთვის. 21-ე საუკუნის შემსწავლელისთვის არსებითია, შეემდოს პასუხისმგებლობის აღება, ეფექტური სასწავლო მიზნების შემუშავება, ფლობდეს პრობლემის

გადაჭრის უნარებს და შეეძლოს სასწავლო მიზნების მიღწევის პროცესში საკუთარი ქცევების, აზრებისა და ემოციების კონტროლი. ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება სასწავლო გამოცდილების მიღების პროცესში, სწორედ შემსწავლელის თვითრეგულაციურ უნარებზეა დამოკიდებული (Persico & Steffens, 2017).

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განათლების ფსიქოლოგიაში მოღვაწე მკვლევარებისთვის განსაკუთრებით საინტერესო შესასწავლ კონსტრუქტს თვითრეგულირებადი სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგენს. მკვლევართა დიდი ინტერესი, ერთი მხრივ, განპირობებულია კონცეპტუალური ჩარჩოს მრავალკომპონენტური ბუნებით, ხოლო, მეორე მხრივ, შემსწავლელზე მოქმედი მოტივაციური, კოგნიტური, ემოციური და კონტექსტუალური ფაქტორების ჰოლისტური განხილვით.

თვითრეგულირებადი სწავლის პირველი ავტორის, ზიმერმანის მიხედვით, თვითრეგულირებადი სწავლა დინამიური და ციკლური პროცესია, სადაც შემსწავლელი დაგეგმვის ფაზაზე იაზრებს დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შემდეგ შეიმუშავებს სტრატეგიებს და, საბოლოოდ, კრიტიკულად აფასებს მიღწეულ მიზნებსა და შერჩეული სტრატეგიების ეფექტურობას (Zimmerman, 1995). ზიმერმანის მიერ შემუშავებულმა იდეებმა საფუძველი ჩაუყარა თვითრეგულირებადი სწავლის შესახებ დღეს არსებული თეორიული მოდელების განვითარებას. საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ძირითადად ორი განსხვავებული პერსპექტივით განიხილავენ თვითრეგულირებადი სწავლის პროცესს. ინფორმაციის გადამუშავების პერსპექტივის მიხედვით, მკვლევრები დაინტერესებულნი არიან კოგნიტური და მეტაკოგნიტური კომპონენტების შესწავლით (Panadero, 2017). სოციო-კოგნიტური თეორიის წარმომადგენლები კი განიხილავენ თვითრეგულირებადი სწავლის ინტეგრირებულ მოდელს, სადაც შემსწავლელის სწავლის პროცესზე თანაბრად ახდენს გავლენას ინდივიდუალური ფაქტორები (მაგ: მოტივაციური ორიენტაციები, კოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, თვითეფექტურობის შესახებ რწმენები და ა.შ) და ასევე, კონტექსტუალური ფაქტორები (მაგ, ლექტორის მახასიათებლები, სასწავლო გარემო, სასწავლო კურიკულუმი და ა.შ.) (Panadero, 2017).

მოხსენებაში განხილული იქნება თვითრეგულირებადი სწავლა სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით, აგრეთვე - პარადიგმის ცვლილება სწავლა/სწავლების დიგიტალიზაციის ფონზე. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვან ინსაიტებს იძლევა სწავლისა და სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისთვის, რათა ტექნოლოგიების გამოყენებამ ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი და პრობლემის გადამჭრელი შემსწავლელების ჩამოყალიბებას.

## **აჭაიბე მზექალა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **უცხო ენის გაკვეთილი, როგორც ინტერკულტურული აღზრდის შესაძლებლობა**

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პიროვნული კონტაქტების ფონზე დაწინაურდა უცხო ენის სწავლების ინტერკულტურული მეთოდი.

*ინტერკულტურულობა* გულისხმობს თეორიულ კონცეფციას, რომელიც ემყარება დინამიკურ ინტერაქციას კულტურებს შორის მათი ურთიერთგანსხვავებულობის აღიარების ფონზე, რაც საწინდარია წარმატებული კომუნიკაციისა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ენაში აირეკლება ერის კულტურული ღირებულებები, ამრიგად, ენობრივი სისტემები კულტურული ნიშან-თვისებების კომპლექსური გამოხატულებაა. ენამ, როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის უმთავრესმა კომპონენტმა, შეიძლება ხელი შეუწყოს

დაახლოებას, ან, პირიქით, შეიძლება ის გახდეს საბაზი გაუგებრობისა და კონფლიქტისა. ენის დაუფლება, ფაქტობრივად, შესაბამის კულტურასთან ზიარებას, ამ კულტურის გაგებას ნიშნავს.

ინტერკულტურული კომპეტენცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც იმ კომპონენტების ერთობლიობას გულისხმობს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შედგეს წარმატებული კომუნიკაცია და კოოპერაცია. ესენია: გაცნობიერებული და კრიტიკული მიდგომა შესასწავლი ენის მატარებელი ერის მენტალური სტერეოტიპებისადმი, უცხო კულტურის აღიარება, უცხო ფენომენის გაგება, მის მიმართ ტოლერანტობა და ა.შ.

უცხო ენის ინტერკულტურული სწავლებისას უმთავრესი მიზანია ინტერკულტურული და მულტიკულტურული კონტექსტების გაგება უცხოს/ახლის აღქმისა და გაგების გზით და ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნა. უცხო ენის შესწავლა არ გულისხმობს მყისიერად ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნას, იგი ნელ-ნელა უნდა ჩამოუყალიბდეს ენის შემსწავლელს. ამ პროცესში დიდი როლი ენიჭება მასწავლებელს, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს უცხო ენისა და კულტურისადმი ინტერესის და მისი შესწავლის სურვილის და მოტივაციის გაღვივება.

ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეფცია უცხო ენის სწავლებასთან მიმართებით ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა, ასევე გულისხმობს ქცევისა და კომუნიკაციის იმ დაუწერელი წესების ფაქტობრივ ცოდნას, რომლებიც ამა თუ იმ სამიზნე ენის კულტურას აქვს. ინტერკულტურული სწავლება ისწრაფვის, გაუცნობიერებელი ინტერკულტურული კომპეტენცია გარდაქმნას გაცნობიერებულ ინტერკულტურულ კომპეტენციად.

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა, ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება, რაც გულისხმობს კლიშეების აღმოფხვრას, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის შექმნას სხვადასხვა პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხოს შორის. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად ინტერკულტურულ უნარებს უყალიბებს. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, რომლის დროსაც ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გაკვეთილზევე ხდება შექმნილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება.

კარგად დაგეგმილი და მომზადებული უცხო ენის გაკვეთილი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინდივიდის ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნის და აღზრდის შესაძლებლობად.

## **ბაგრატიონ-დავითაშვილი ნინო**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ზოგიერთი თანდებულის გამოყენების სემანტიკური ნიუანსები არაქართველთათვის**

ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებისათვის სახელმწიფო ენის სიღრმისეული ცოდნა აუცილებელია, რათა სრულფასოვნად ჩაერთონ აკადემიურ პროცესში. კომუნიკაციური ენის საფუძვლების დაუფლება არაა საკმარისი. რადგან მათ უნდა მოისმინონ ლექციები, შეასრულონ შესაბამისი დავალებები, მოამზადონ პრეზენტაციები, ჩააბარონ გამოცდები და ა.შ. მათ უწევთ როგორც ჰუმანიტარული საგნების შესწავლა, ასევე საკმაოდ ფართო სპეციალობების (ბიზნესი, ეკონომიკა, სამედიცინო და ა.შ.) ათვისება, ლექსიკური მასალისა და ენობრივი კონსტრუქციების გააზრება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენისათვის დამახასიათებელი თანდებულების შესწავლა, რომლებიც თავისი ფუნქციითა და სემანტიკით ინდოევროპული ენების წინდებულებს უტოლდება. თანდებული არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე ფორმაუცვლელი ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და ამყარებს მიმართებას სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის. არაქართველთათვის თანდებულების გააზრება და გამოყენება ზოგჯერ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ზოგიერთ მათგანს ძირითადი მნიშვნელობების გარდა, სხვა მრავალი სემანტიკურ-სტილისტიკური დატვირთვა აქვს. ასეთად, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ „ზე“ და „ში“ თანდებულები. „ზე“ თანდებულის ფორმით გადმოცემული სახელი სემანტიკურად უმეტესად გამოხატავს მოქმედების ადგილს (მაგიდაზე, თაროზე, მანქანაზე...), დროს (2 საათზე, 15 წუთზე, გაზაფხულზე...) და ხარისხობრივ მიმართებას (ჩემზე უფროსი, შენზე კარგი...). „ში“ თანდებულებით გადმოიცემა შიგ მყოფობა (სახლში, კარადაში,) და დრო (ივნისში, 2 საათში), ზოგჯერ კი გამოიყენება „შორის“ შინაარსის მნიშვნელობით (ჩემში და შენში სალაპარაკო აღარ დარჩა). ამის გარდა, აღნიშნულ თანდებულებს სხვა სემანტიკური ნიუანსებიც აქვს. ჩვენი მიზანია, ავუხსნათ მათ, ძირითადად რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს აღნიშნული თანდებულები (დავურთავთ შესაბამის მაგალითებს). ამასთანავე, მოცემული იქნება მაგალითები იმავე თანდებულებით, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა ძირითად მნიშვნელობებთან შედარებით და წარმოვადგენთ მათ სინონიმურ შესიტყვებებს, რათა გასაგები გახდეს არაქართველთათვის მათი გამოყენება. მაგალითად, „შივლზე უყვებოდნენ“, „ვაჟკაცობაზე ფიქრობდა“, „ისმენდა აზრებს კაცთმოყვარეობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე“ და ა.შ. ამ მაგალითებში „ზე“ თანდებული „შესახებ“ სიტყვის (თანდებულის) სინონიმური მნიშვნელობით შეიძლება გავიაზროთ, რაც მათთვის უფრო ადვილი აღსაქმელი იქნება.

## **ბახტაძე ლილა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **დარგობრივი და თემატური ტერმინოლოგიის ათვისების მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებისას (თანამედროვე ებრაულ ენაში კორონავირუსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის მაგალითზე)**

უცხო ენის შესწავლისას საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებაში იგულისხმება არა მხოლოდ შესასწავლი ენის საბაზისო ლექსიკის ათვისება და გამოყენება, არამედ დარგობრივი და თემატური ტერმინოლოგიის შესწავლა.

ებრაული ენის საუნივერსიტეტო პრაქტიკული კურსის ფარგლებში გვიწევს სტუდენტისთვის სხვადასხვა თემატური ლექსიკის მიწოდება ასათვისებლად - მედიცინა, კანონმდებლობა, პოლიტიკა და ა.შ.

ენის სწავლების პროცესში აუცილებელია პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე ყურადღების გამახვილება, რაც გულისხმობს სათანადო ტერმინოლოგიის სწავლებას.

2020 წელს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამოცხადებამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია ყველა სფეროში და მათ შორის, განათლების სისტემაში. ებრაული ენის საუნივერსიტეტო პრაქტიკული კურსის დისტანციური სწავლების ფორმატში, ბუნებრივია, გვიწევდა პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაც, დაავადებასთან დაკავშირებული ახალი ტერმინების ათვისება და შედარება.



2020 წლის ბოლოს ებრაული ენის აკადემიის პლენუმმა დაამტკიცა ისრაელის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ტერმინების სია, თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებით.

მოხსენების მიზანია, დავასაბუთოთ შესასწავლი ენის დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორად სწავლების მნიშვნელობა საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებისთვის.

მოხსენების მასალად გამოყენებულია: ტექსტები ისრაელის მასმედიიდან, ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ბუკლეტები, ებრაული ენის აკადემიის მიერ გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

## **ბეპიევი ნაირა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მეორე ენის სწავლა-სწავლების საკითხები ქართულენოვან სკოლებში**

წლების განმავლობაში, ოსური ენა საქართველოში ისწავლებოდა მხოლოდ რუსულენოვან სკოლებში (ეს წესი ვრცელდებოდა რუსეთის ფედერაციაში იმ სკოლებში, სადაც ოსური ენა ისწავლებოდა). ოსურენოვანი გრამატიკისა თუ ლიტერატურის სახელმძღვანელოები ორენოვანი იყო - ოსურ-რუსული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ სკოლებში ქართულ ენას საერთოდ არ ასწავლიდა. 2004 წლიდან, სკოლების ოპტიმიზაციის შედეგად, სკოლები, რომლებშიც ოსური ენა ისწავლებოდა, ქართულენოვანი გახდა და შესაბამისად, საჭირო იყო გრამატიკული კატეგორიებისა და ცნებების ქართულ ენაზე გადმოცემა. სამწუხაროდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ პროცესის პარალელურად, ვერ უზრუნველყო ოსური ენის სტანდარტის შექმნა და ამის საფუძველზე ოსურ-ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემა.

თავისთავად ცხადია, გრამატიკული ტერმინები, მათი ახსნა-განმარტებები რთული იყო [იმ პედაგოგებისთვის, რომელთაც რუსულენოვანი განათლება ჰქონდათ მიღებული (რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ოსურ-რუსულ-უცხო ენების ფაკულტეტი - Осетино-русско-иностраннный факультет). ამგვარი სკოლები დიღემის წინაშე დადგნენ: ან უნდა გაეთავისუფლებინათ პედაგოგები, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდათ, ან მიეწოდებინათ მათთვის საჭირო ოსური ენის სახელმძღვანელო ქართული განმარტებებითა და სათანადო ცნებებით. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2017 წელს შევიმუშავეთ და გამოვეცით ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა. ჩვენი ინიციატივით გამოცემულმა დამხმარე სახელმძღვანელომ: ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა (Ирон жьвдджь практикон грамматика) ნაწილობრივ ამოავსო ის ვაკუუმი, რომელიც მანამდე არსებობდა ოსური ენის, როგორც მეორე ენის სწავლა/სწავლების დროს. დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია ის ძირითადი სირთულეები და მათი გადაწყვეტის საშუალებები, ახსნა-განმარტებები, რომლებიც აუცილებელია ოსური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ქართულ ენაზე აღქმისა და სწავლა/სწავლების დროს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ოსური ენის სწავლა-სწავლების თავისებურებებზე ქართულენოვან სკოლებში, ყურადღებას გავამახვილებთ ოსური ენიდან ქართულ ენაზე გრამატიკული კატეგორიების გადმოტანის საკითხებზე ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკის მიხედვით.

## ბიბლიოგრაფიული გულნარა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### ადრეული ბილინგვური განათლება: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი თემის სოციალური ინტეგრაციის საფუძველი

არაერთი კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ბილინგვური განათლება, როგორც **ორენოვანი წიგნიერების** ხელშემწყობი, უნდა განვიხილოთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ენობრივი პოლიტიკის გამოწვევებისთვის საპასუხოდ.

სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმებისა და ღონისძიებების ანალიზმა ცხადყო, რომ ყურადღების მიღმა წლების განმავლობაში დარჩენილი იყო ადამიანის განვითარებისთვის უმთავრესი პერიოდი - ადრეული განათლება და განვითარება. ამ პერიოდის მნიშვნელოვნებას მკვლევრები ერთხმად აღიარებენ (<https://www.researchgate.net/profile/Msrisnne-Bloch/publication/234726044>).

უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია 27-ე მუხლში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკოლამდელ აღზრდას.

2013 წლიდან საქართველოში ხორციელდება რეფორმა სკოლამდელი განათლების საფეხურზე, თუმცა, მხოლოდ 2021 წელს გახდა შესაძლებელი ადრეული ბილინგვური განათლების საპილოტე პროექტის დაწყება.

2022 – 2030 წლებში განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის სამივე სექტორალური პრიორიტეტი ითვალისწინებს ადრეული განათლების კომპონენტს.

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ეფექტიანობისა და მდგრადობის გაძლიერებას

ხსენებულ 2022 - 2030ს სტრატეგიასთან ერთად, შემუშავებულია 2022-2024 წლების სექტორული სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია აღმზრდელ- პედაგოგთა მომზადების საკითხი. ამ საკითხის მოსაგვარებლად ასევე მნიშვნელოვანია აკადემიური სექტორის როლი.

ამგვარად, სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის, რაც ეფუძნება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ერთ-ერთი ინდიკატორია ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, მნიშვნელოვანია ექსპერტული წრეების აქტიური ჩართულობა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესასრულებლად.

## ბჟალავა ელისაბედ

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### -mAdAn/-mEksIzIn აბსოლუტივების სწავლების სტრატეგია

თურქულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღესაც დავის საგანია უცხოელებისათვის თურქული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდები და ხერხები. ამ თვალსაზრისით, აბსოლუტივების სწავლებისას სწორი საფეხურის და გრამატიკულ სისტემაში სათანადო ადგილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია, ძირითადად, აბსოლუტივების ფორმალურ მახასიათებლებზე და იშვიათად, ან საერთოდ არ არის საუბარი მათ ფუნქციონალურ მახასიათებლებსა და თავისებურებებზე.

სტატიაში გამოყენებულია ფუნქციონალურ-სემანტიკური მეთოდი, რომლის თანახმადაც წინა პლანზე წამოწეულია ფორმის მნიშვნელობა და ფუნქცია ენის სისტემაში. შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა აბსოლუტივებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელიც თავისთავად ქმნის სირთულეს მისი სწავლა/ სწავლების პროცესში. მაგ.:

- თვალშისაცემია აბსოლუტივების სახელდებასთან არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე (Gerundium, bağ-eylem, bağ-fiil, zarf-fiil)

- თურქოლოგიურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი აბსოლუტივების ფორმალურ და ფუნქციურ მახასიათებლებთან და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით და სხვა.

ნაშრომში განხილულია -mAdAn/-mEksIzIn აბსოლუტივის სწავლა/სწავლების თავისებურებები და სასწავლო ლიტერატურაში არსებული დანაკლისი. კერძოდ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში და უცხოელებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოებში ორივე აბსოლუტივი ხასიათდება, როგორც ერთი და იგივე, უარყოფითი კონოტაციის მატარებელი დროის აბსოლუტივი და მოყვანილია შესაბამისი მაგალითებიც, თუმცა არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ვერ ხერხდება აბსოლუტივების ერთიმეორით ჩანაცვლება და ეს არ გახლავთ გამონაკლისი.

ჩვენ მიერ მოკვლეულ არც სასწავლო და არც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ თავისებურებებზე ყურადღება არაა გამახვილებული; უფრო მეტიც - სახელმძღვანელოებში მინიშნებაც კი არ არის აღნიშნულ თავისებურებებზე. ნაშრომში მოცემულია მცდელობა მოიძებნოს კანონზომიერება, რომელიც ამ ორი აბსოლუტივის სწავლა/სწავლების სწორი სტრატეგიის შერჩევაში დაგვეხმარება.

## **ბუსკივამე ხათუნა, ბარათაშვილი ზურაბ**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ენათმონაცვლეობა, როგორც ინგლისურის შემსწავლელთა წერილობითი შეცდომების გამოსასწორებელი ინსტრუმენტი**

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ქართველი მოსწავლეების მშობლიური ენის გავლენით დაშვებულ შეცდომებს წერით დავალებებში. ამასთანავე, ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქართველი მოსწავლეების აღქმა მასწავლებლის მიერ წერით დავალებებში უკუკავშირის მიცემისას ენათმონაცვლეობის გამოყენებისადმი. ენათმონაცვლეობა იყენებს ენას, როგორც მოლაპარაკეთათვის მნიშვნელობის წარმომქმნელ ერთიან სისტემას (García et al, 2017). პედაგოგიკაში ენათმონაცვლეობას იყენებენ ერთ-ერთ მიდგომად იმისათვის, რომ ორენოვანი მოლაპარაკეების (მოსწავლეების) რეპერტუარის გამოყენებით კონტექსტი უკეთესად გასაგები გახდეს. გარდა ამისა, არსებობს ენების სწავლების ორგვარი ხედვა საკლასო ოთახში. საყოველთაოდ მიღებული შეხედულება წარმოადგენს პროცესს, როდესაც ორ ენას ასწავლიან როგორც ორ იზოლირებულ სისტემას. მაგრამ ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც მსოფლიოს ორენოვან და მრავალენოვან ნაწილებში ცხოვრობენ მიდრეკილები არიან, დაიცვან თანამედროვე შეხედულება უცხო ენის სწავლების შესახებ. ენათმონაცვლეობა (ქართული და ინგლისური ენების ერთდროული გამოყენება, როგორც მოლაპარაკეთათვის მნიშვნელობის წარმომქმნელი ერთიანი სისტემა) როგორც ქართველი მოსწავლეების წერითი შეცდომების გამოსასწორებელი ინსტრუმენტი ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს.

ელისი (Ellis, 1997) მიუთითებს, რომ შეცდომა ცოდნის არქონის შედეგია. მკვლევრები გაიაზრებენ L2-ის წარმოქმნაში L1 ინტერფერენციას რამდენიმენაირად, რაც ძირითადად დასწავლილი შემსწავლელთა გრამატიკული ცოდნის უქონლობით არის გამოწვეული (Al-Khreshah, 2010; Subandowo, 2017). ინტერფერენციის შედეგად აღმოცენებული შეცდომები გამოწვეულია ორი ენობრივი ფონით (Nunan, 2001).

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გვეჩვენებინა ენათმონაცვლეობის, როგორც შეცდომების შესწორებისა და შეფასების ახლებური, ეფექტიანი მეთოდის გამოყენების აუცილებლობა წერით დავალებებში.

ამრიგად, მივედით შემდეგ საკვლევ შეკითხვებამდე: 1. რა ტიპის შეცდომები აქვთ ქართველ მოსწავლეებს EFL-ის წერაში; 2. როგორია ის საერთო L1 შეცდომები, რომლებიც ქართველ მოსწავლეებს აქვთ EFL-ის წერისას. 3. როგორ აღიქვამენ ქართველი მოსწავლეები ინტეგრირებულ ენათმონაცვლეობას წერიტი დავალების შეცდომების გასწორების დროს.

მოცემულ შემთხვევათა კვლევა ეხება 16-7 წლის 21 ქართველ მოსწავლეს, რომლებიც ინგლისურს სწავლობენ როგორც უცხო ენას. გაანალიზდა მოსწავლეთა 80 ესეი. კვლევაში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი (ონლაინ კითხვარი მოსწავლეებისთვის), ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

მოსწავლეთა ზოგადი შეცდომები დალაგდა გრამატიკის (მაგ., დრო და ასპექტი, შეთანხმება, რიცხვი, ინფინიტივი და გერუნდივი, არტიკლი); ლექსიკა (გამოტოვებული სიტყვა, ზედმეტი სიტყვა, მცდარად შერჩეული სიტყვა); ორთოგრაფია; პუნქტუაცია. რომელთაგან L1-ით განპირობებული შეცდომები გამოვარჩიეთ. მოგვყავს ერთ-ერთი მაგალითი:

*“Our food, wich we are using to do different meals, have incredible quality.”*

„ჩვენი საჭმელი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საკვების მოსამზადებლად, წარმოუდგენელი ხარისხი“

1. wich (ორთოგრაფია)
2. we are using (use) (გრამატიკა – დრო/ასპექტი/L1) (აწმყო მარტივი და აწმყო განგრძობითი დროები დამოუკიდებლად არ არის წარმოდგენილი ქართულ ენაში)
3. to do (cook/make) different meals (ლექსიკა – WW/L1) (ქართულ ენაში გამოყენებული თანახმარების სიტყვასიტყვითი თარგმანი)

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეების უმეტესობამ მხარი დაუჭირა წერიტი დავალების უკუკავშირის მიცემის ერთ ენაზე ორიენტირებული მეთოდის შეცვლას. ამგვარად, მასწავლებელი აქტიურად მიმართავდა შეცდომების გამოსწორების ეტაპზე ენათმონაცვლეობას. თუმცა, ზოგიერთმა მოსწავლემ სკეპტიკურად აღიქვა ახალი მიდგომა და მიიჩნია, როგორც მოულოდნელი და არასაჭირო. კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ენათმონაცვლეობის, როგორც მოსწავლეთა შეცდომების გამოსასწორებელი ინსტრუმენტის, დანერგვამ, მაგ., L1-ის როლზე ყურადღების გამახვილებით, შეიძლება გააძლიეროს ორივე ენის გრამატიკისა და ლექსიკის გაგება.

## გელაშვილი ხათუნა

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### ფიზიკური ვარჯიში და აქტივობები ინგლისურის სწავლების პროცესში

საჭიროა და შესაფერისია თუ არა ფიზიკურ აქტივობები ზრდასრულების სწავლების დროს, მაგალითად, ლექცია-სემინარებზე ან ტრენინგებზე? როგორც წესი, სტუდენტები და მსმენელები სხედან ხოლმე ხანგრძლივად, უმოძრაოდ, გონებრივ მუშაობაში ჩართულები. იმისათვის, რომ ჰოლისტიკურად მივუდგეთ მათ სწავლებას, ყველა უნარი (ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური, ფიზიკური) განვუვითაროთ მათ, ყურადღების კონცენტრაცია და სწავლის ხალისი შევუნარჩუნოთ, მუშაობა-დასვენების მონაცვლეობა დავიცვათ, აქტიური ხანმოკლე ფიზიკური ვარჯიში ან მოძრაი აქტივობებია საჭირო. ნებისმიერი ასაკის ადამიანს გაუჭირდება სწავლა, აღქმა, თუ ჟანგბადი კარგად არ მიეწოდება ტვინს, თუ ხანგრძლივად ზის, თუ ზურგი სტკივა ჯდომისგან.

ისეთი ლექსები, სიმღერები და აქტივობები, რომლებსაც თან ახლავს მოძრაობა, უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ბავშვებისთვის არსებობს. ამიტომაც შევქმენი

რამდენიმე სავარჯიშო ლექსი და აქტივობა ინგლისურის გაკვეთილებისთვის სპეციალურად მოზარდების ან მოზარდილებისთვის. ისინი შეესაბამება აკადემიურ ან საქმიან გარემოს და სწრაფი განმუხტვის საშუალებას იძლევა, ამაღლებს განწყობას, ხალისს, სწავლის უნარს, კონცენტრაციას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. ანუ, მათი გამოყენება შეიძლება უმაღლეს სასწავლებლებშიც და ტრენინგებზეც, სკოლებშიც და სამსახურშიც. ასევე მოვიძიე მსგავსი აქტივობები, რომლებსაც გაგიზიარებთ.

ვორკშოპის მონაწილენი თავად მიიღებენ მონაწილეობას ამ დინამიურ აქტივობებში და ვარჯიშებში, გაუზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას და რაც მოეწონებათ, თან წაიღებენ თავიანთ საკლასო ოთახებში გამოსაყენებლად.

## **გვირჯიშვილი იზა, დალაქიშვილი ლალი**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

### **არაფორმალური განათლება და ენის სწავლება**

ენის სწავლა-სწავლების პროცესი მაშინ არის ეფექტიანი, როცა საკომუნიკაციო, აკადემიურ და გამჭოლ უნარებს ინტეგრირებულად ავითარებს. ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არაფორმალური განათლება. საგაკვეთილო პროცესის მიღმა თავისუფალ გარემოში განხორციელებული შემეცნებითი, სოციალური, პრაგმატულ-სიტუაციური თუ სხვა ტიპის აქტივობები მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს, დაძლიოს სამიზნე ენაზე კომუნიკაციის შეყოვნება, რომელიც ენის შესწავლის პირველ ეტაპზე ბუნებრივად ყალიბდება და აშკარა ბარიერად იქცევა საგაკვეთილო პროცესში.

პიროვნების მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინებით, აუცილებელია სწავლების სტრატეგიების, აქტივობების დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. ამისთვის კი საუკეთესო საშუალებაა საგანმანათლებლო პროცესში არაფორმალური განათლების ჩართვა, რადგან არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საფუძველი - სახალისო სწავლა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მინიპროექტები და სავარჯიშოები, პრეზენტაციები, ინტერაქტიული ლექციები და თამაშები და ა. შ., ენობრივი კომპეტენციის ამაღლებასთან ერთად ხელს უწყობს სხვადასხვა უნარის გამომუშავებას ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს.

მოხსენებაში შემოთავაზებული იქნება ორ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფში (სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი) აქტივობების შერჩევის პრინციპები, განხორციელებული საქმიანობის შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები.

## **გიგუაშვილი ცისანა, სანაია დალი,**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **დამატებითი მასალა და მულტილინგვური კლასი**

თანამედროვე მსოფლოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა, რომლის შედეგად ცალკეულ სახელმწიფოებს შორის განვითარდა საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები და უფრო მაღალ ეტაპზე ავიდა მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობა ყველა დარგში, ასევე მზარდმა მიგრაციის პროცესმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განაპირობეს ადამიანთა მულტილინგვური ჯგუფებისა თუ საზოგადოებების შექმნა.

ამ მხრივ, გამონაკლისს არც განათლების სისტემა წარმოადგენს. მულტილინგვური კლასები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მულტილინგვური კლასები უმთავრესად შედგება ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და რუსი სტუდენტებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტრადიციების, ჩვევების, კულტურისა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით. მათთვის ძირითად პრობლემას ურთიერთობის დამყარებისათვის ენის ბარიერი წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო მწვავედ სასწავლო პროცესში ვლინდება. ამ პროცესის წარმატებული განხორციელების აუცილებლობა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ინგლისურის როგორც მეორე ენის სწავლებას და ახალ ამოცანებს უსახავს ინგლისური ენის მასწავლებლებს, რომლებიც სასწავლო პროცესს წარმართავენ მულტილინგვურ კლასებში, სადაც სტუდენტებს შორის სწავლის უნარ-ჩვევებში, საჭიროებებსა და ცოდნის დონეში განსხვავებებს ემატება მათი განსხვავებული ენა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, კულტურა და აღზრდა.

ნებისმიერი უცხო ენის სრულყოფილი ფლობა ნიშნავს ამ ენაზე კომუნიკაციის, გაგების, კითხვის, წერის და მოსმენის უნარის ქონას. აქედან გამომდინარე, სამიზნე ენის შესწავლა მოითხოვს სტუდენტებში ყველა აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ინგლისურის ენის მასწავლებლები გამუდმებით ეძებენ და ცდილობენ დანერგონ ის ახალი მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტებს ინგლისური ენის შესწავლის პროცესში. ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ დამატებითი მასალის, როგორც ერთ-ერთი ეფექტური საშუალების გამოყენების როლი, რომელიც უზრუნველყოფს მულტილინგვურ გარემოში მეორე ენის, ამ შემთხვევაში ინგლისურის, სწავლების კიდევ უფრო მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ინგლისურის სახელმძღვანელოები ყოველმხრივ სრულყოფილად და კომპლექსურად არიან შედგენილნი დონეების გათვალისწინებით და მოიცავენ ენის სწავლების ყველა კომპონენტზე გამიზნულ მასალას, მხოლოდ მათი გამოყენება მაინც არ არის საკმარისი ინგლისური ენის შესასწავლად მულტილინგვურ კლასებში. სტატია ყურადღებას ამახვილებს ენის შემსწავლელთა პროდუქტიული - საუბრის უნარის განვითარების მიზნით დამატებითი საგანმანათლებლო წყაროების გამოყენებაზე, ასევე დამატებითი მასალის შერჩევასა და მათი სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასთან ინტეგრირების სტრატეგიაზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ენის შესწავლის ეფექტურ პროცესსა და შედეგებს.

სტატიაში ასევე განხილული და გაანალიზებულია კვლევა, რომელიც ჩატარდა 12 სტუდენტისგან შემდგარ მულტილინგვურ კლასში (აქედან, 5 სტუდენტი იყო ქართველი, 4- აზერბაიჯანელი, 3 კი სომეხი ეროვნების). ჩვენს მიერ გამოყენებული იყო შემდეგი კვლევის მეთოდები - ანკეტური გამოკითხვა, სტუდენტთა ფორმატიული (განმავითარებელი) შეფასებისათვის და ფინალური გამოცდის (მეტყველების შეუფერხებლობისა და სისწორის შემოწმება) შედეგები, რომელიც მოიცავდა ინტერვიუს და ზეპირ პრეზენტაციას მათი სუბარული (შემაჯამებელი) შეფასების მიზნით. კვლევის შედეგებით დადასტურდა ის დადებითი ზეგავლენა, რომელსაც ახდენს დამატებითი მასალის გამოყენება სტუდენტების მიერ ენის შესწავლის ხარისხზე და შედეგებზე, კონკრეტულად, საუბრის უნარის განვითარებაზე მულტილინგვურ კლასში.

გიორგაძე მერი, მეგრელიშვილი ლია,

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის დადებითი მხარეები უცხოური ენის ათვისების პროცესში

უცხო ენის შესწავლა შეუფასებელი უნარია დღევანდელ, ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში. ჩვენ, ადამიანებს, გვაქვს პრივილეგია, დაბადებისთანავე გავეცნოთ და ავითვისოთ მშობლიური ენა ყოველგვარი წინააღმდეგობისა და გამოწვევის გარეშე; იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ ჩვენ არ ვირჩევთ საცხოვრებელ ადგილსა და გარემოს, ჩვენ ბუნებრივად ვხდებით გარკვეული ეროვნების წარმომადგენელი და ვეუფლებით კონკრეტულ ენას. სწორედ რომ გეოგრაფიული და სოციალური თავისებურებები განსაზღვრავს ჩვენს საჭიროებებსა და მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ვისწრაფვით გავხდეთ წარმატებული სამყაროს ნაწილი. შესაბამისად, ადამიანები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისი მშობლიური ენაც არ არის საერთაშორისო ენა, გარკვეულწილად აწყდებიან მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს. დღეს ეს ენა, მისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე არის ინგლისური ენა.

დღევანდელ, გლობალიზებულ სამყაროში, ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი უფროდაუფრო აქტუალური ხდება. გარდა ამისა, ბილინგვიზმის საჭიროებები განსხვავდება ქვეყნებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური სტანდარტების მიხედვით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მეორე ენის ათვისების აუცილებლობამ, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, საქართველოში, მრავალი უხერხულობა შექმნა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ჩვენ, როგორც სამიზნე ენის მასწავლებლებმა და ფასილიტატორებმა, უნდა შევიმუშაოთ მეთოდები და სტრატეგიები, იმისათვის რომ, ეს არც თუ ისე იოლი პროცესი შევემსუბუქოთ ენის შემსწავლელებს.

საგანმანათლებლო სივრცეებში, საერთაშორისო ენის ცოდნა მრავალფეროვანი თემებითა თუ საკითხებით, და ასევე კულტურათაშორისი ურთიერთკავშირებით დაინტერესების საწინდარია, რასაც გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი რომ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსული ენა ჯერ კიდევ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ეს უკანასკნელი გულისხმობს მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენასთან ერთად ტრილინგვიზმის მოთხოვნას, რაც ენის შემსწავლელთათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ასევე მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ როგორ და რა ხარისხით უნდა იყოს ჩართული მშობლიური ენა მეორე ენის სწავლების პროცესში, და როგორ უნდა გაკონტროლდეს მათი გამოყენება.

წარმოდგენილი თეზისის მიზანია, დღესდღეობით „პრივილეგირებულ“ მეთოდს, რომელიც გულისხმობს უცხო ენის შესწავლისას მხოლოდ სამიზნე ენის გამოყენებას, დაუპირისპიროთ მეტ-ნაკლებად „ადიარებული“ მეთოდი, რომელიც იძლევა მოქნილ შესაძლებლობას უცხო ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში მშობლიური ენის საჭირო მოცულობით გამოყენების, რასაც მივყავართ ბილინგვიზმისა ან/და მულტილინგვიზმის მნიშვნელოვნების, მისი დადებითი მხარეების განხილვის საკითხამდე. ნაშრომი, ასევე შეისწავლის და განიხილავს ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის გამოყენების სხვადასხვა სტრატეგიასა თუ ტექნიკას უცხო ენის ათვისების გასაუმჯობესებლად.

ექსპერიმენტალური კვლევა ჩატარდა 100-ამდე სტუდენტისა და მასწავლებლის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამიზნე ენის უკეთესად ასათვისებლად აუცილებელია (საჭიროების შემთხვევაში) მშობლიური ენის „კონტროლირებული დოზით“ გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. განსხვავებული სურათი გვაქვს მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით. მათი პასუხები ურთიერთგამომრიცხავია. იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომელიც ეწინააღმდეგება მშობლიური ენის (თუნდაც კონტროლირებული გზით) გამოყენებას მეორე ენის სწავლებისას, იმავე გამოკითხვაში ეწინააღმდეგება საკუთარ აზრს. უმრავლესობა

„სტერეოტიპულ“ მიდგომას ემხრობა და სურვილი აქვთ მიწინააღმდეგე დაიყვანონ მშობლიური ენის გამოყენება ე.წ. ზემოაღნიშნული „პრივილეგირებული მეთოდის“ გავრცელების მიზნით, რაც გვადლევს საფუძველს გავაჟღეროთ, რომ ამ სტერეოტიპული მიდგომით მასწავლებლები ორიენტირებულნი არ არიან შედეგზე. ამ ეჭვს ამყარებს ისიც, რომ გამოკითხვისას მათმა უმეტესმა ნაწილმა მიუთითა რომ არ აქვთ უკუკავშირი სტუდენტებისგან.

ამგვარად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს საფუძვლიან შესწავლასა და მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას ამ მიმართულებით.

## **გოგალაძე ეკატერინე, ასლანოვა ელვირა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ (ქართული და აზერბაიჯანული ენების სწავლების მაგალითზე)**

იმისათვის რომ შევძლოთ მეორე ენის სწავლა/სწავლებისას არსებული პრობლემების გამოყოფა და სორტირება, საჭიროა სამიზნე ენის შემსწავლელი აუდიტორიის პირველი ენისა (L1) და კულტურულ-სოციალური ფონის გაცნობა და გათვალისწინება. ასევე, საჭიროა განვმარტოთ რას გულისხმობს ტერმინები: მეორე ენა და უცხოური ენა.

მეორე ენა (Second Language) ეს არის ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს მშობლიური ენის შემდეგ ან პარალელურად არაფორმალურ, ყოფით გარემოში, ხოლო უცხოური ენის (Foreign Language) შესწავლა ხდება ფორმალურ (საგაკვეთილო პროცესი) გარემოში, და ამ ენის შემსწავლელთ არ აქვთ საშუალება გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესის მიღმა ცოცხალ სიტუაციებში. ყოველი უცხოური ენა, პოტენციურად მეორე ენასაც წარმოადგენს.

მოხსენებაში განვიხილავთ არამონათესავე, თუმცა მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი ორი ენის, ქართულისა და აზერბაიჯანულის, როგორც, ერთ შემთხვევაში, მეორე ენის (ქართული), ხოლო მეორე შემთხვევაში კი - უცხოური ენის (აზერბაიჯანული) სწავლების პროცესს ქართულენოვან სასწავლო სივრცეში.

ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფში დაკომპლექტებულია საქართველოში მცხოვრები, საქართველოს მოქალაქეობის მქონე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებით. აზერბაიჯანული ენის შემსწავლელი ჯგუფი შედგება ქართულენოვანი სტუდენტებით.

მოხსენების მიზანია ქართულის, როგორც მეორე ენის, ხოლო აზერბაიჯანულის, როგორც უცხოური ენის სწავლების პროცესში აუდიტორიასთან მუშაობისას გამოკვეთილი პრობლემების გამოყოფა, ამ დაბრკოლებათა მიზეზების განსაზღვრა და შედარება-შეპირისპირება.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენა მეორე ენაა, რადგან ისინი საქართველოში ცხოვრობენ, ხოლო ქართულენოვან სტუდენტთათვის აზერბაიჯანული ენა უცხოური ენაა, ორივე ჯგუფის ენობრივი კომპეტენცია თანაბარია. ორივე ჯგუფისათვის ენის სწავლის დროს ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფონეტიკა-ფონოლოგია და გრამატიკის გარკვეული საკითხები. ჩვენი მიზანია აღვწეროთ სწავლების პროცესში გრამატიკული და ფონეტიკური შეცდომები და გამოვარკვიოთ ამ შეცდომათა გენეზისი.

კვლევა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე.

კვლევისათვის შეირჩა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ერთი ჯგუფი, რომლებიც მეორე ენად ქართულს სწავლობდნენ ქართული ენის მოსამზადებელ განყოფილებაზე. ხოლო მეორე მხრივ - ქართულენოვანი სტუდენტების, ასევე, ერთი ჯგუფი, რომლებიც უცხო ენად



სწავლობდნენ აზერბაიჯანულ ენას ბაკალავრიატის საფეხურზე.

კვლევაში მონაწილე სტუდენტების ასაკი არის 18-22 წელი.

სწავლების პერიოდში დაგროვებული ემპირიული მასალა დამუშავდა და საკვანძო საკითხების დამუშავება მოხდა აღწერითი, შედარებითი და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

კვლევის შედეგები: კვლევამ საინტერესო სურათი გვაჩვენა. მოხსენებაში ვისაუბრებთ მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხთა შესახებ. მოცემულია მცდელობა მეორე ენის სწავლებისას დაფიქსირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღწერა-განალიზებისა. შედეგებმა დაგვანახა, რომ უცხო ენის შესწავლისას დაშვებული შეცდომები, იქნება ეს გრამატიკული თუ ფონეტიკური, პირდაპირ კავშირშია და გამოწვეულია პირველი ენის (დედა ენის) გრამატიკული და ფონეტიკური თავისებურებებით.

ვფიქრობთ, კვლევის შედეგად მიღებული შედეგები და დასკვნები დაეხმარება ქართული და აზერბაიჯანული ენის როგორც შემსწავლელებს, ასევე მასწავლებლებს ენის სწავლება-შესწავლის პროცესის ეფექტურობის ასამაღლებლად.

## გოჩიტაშვილი ქეთევან

*უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო*

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **უსაფრთხო და სტრესისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა მეორე ენის სწავლების პროცესში კლასგარეშე/არასაპროგრამო აქტივობების გამოყენებისას**

მეორე ენის შესწავლის პროცესში, საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, მეთოდთა და სტრატეგიათა მრავალფეროვნება მაქსიმალური შედეგის მიღების ყველაზე ეფექტური გზაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტივობების, მათი ჩატარების ხერხებისა და მეთოდების შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. მათში, ძირითადად, განხილულია მათი ტიპები, ჩატარების გზები და გავლენა სტუდენტთა შედეგებსა და წარმატებაზე.

წარმოდგენილი ნაშრომი კი ფოკუსირებულია შეისწავლოს, ერთი მხრივ, როგორია სტუდენტთა დამოკიდებულებები კლასგარეშე/არასაპროგრამო აქტივობების მიმართ და რა გზებითაა შესაძლებელი უსაფრთხო გარემოს შექმნა მათი გამოყენების პროცესში ენის შესწავლის ფორმალურ გარემოში ინტეგრირებისას.

კლასზე დაკვირვების, კითხვარის ანალიზისა და აკადემიური წყაროების ანალიზის შედეგად, კვლევა გამოავლენს და კლასიფიცირებას უკეთებს იმ ელემენტებსა და მახასიათებლებს, რომლებიც ექსტრაკურკულარული აქტივობების გამოყენებისას შემსწავლელებისათვის ქმნის უსაფრთხო და სტრესისაგან თავისუფალ სასწავლო გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა არასაპროგრამო აქტივობების კლასიფიცირება სტუდენტთა პრეფერენციების გამოსავლენად. კითხვარი წარმოდგენილია Google ფორმის სახით. შემსწავლელებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ინსტიტუციაში აქვთ შესწავლილი მეორე ენა. განსხვავებულია მათი ენის ფლობის ამჟამინდელი დონეც.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მიდგომებსა და კლასიფიკაციებს და გვთავაზობს კვლევის ფარგლებში შემუშავებულ საკუთარ მიდგომებსაც. დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ შეკითხვებს:

1. რა ტიპის (ინტენსივობი, ფორმისა და შინაარსის) არასაკლასო აქტივობები მიაჩნიათ შემსწავლელებს ნაკლებ სტრესულად?

2. რა როლი აქვთ მასწავლებლებს სტრესისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად არასაკლასო აქტივობების გამოყენებისას?

3. რა წვლილის შეტანა შეუძლიათ სტუდენტებს სტრესისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად არასაკლასო აქტივობების გამოყენებისას?

4. როდის არის არასაპროგრამო აქტივობებში მონაწილეობა ნაკლებად სტრესული?

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები უსაფრთხოდ და სტრესისგან თავისუფლად გრძნობენ თავს, როდესაც:

1. ექსტრაკურსულურ აქტივობებში მონაწილეობა არ არის იძულებითი, არამედ აქვთ არჩევანი, მიიღონ თუ არა მონაწილეობა მასში.

2. როდესაც ექსტრაკურსულური აქტივობა უშუალოდ არ უკავშირდება შეფასების პროცესს, არამედ მასწავლებელსა და სტუდენტებსაც გააზრებული აქვთ, რომ ეს არის დამხმარე საშუალება ენობრივი პროგრესის გზაზე.

3. როდესაც აქტივობის შესახებ აქვთ ზუსტი ინსტრუქციები.

4. როდესაც აქტივობა არ არის ორგანიზებული მხოლოდ ძლიერი (ან იშვიათად სუსტი) სტუდენტებისათვის.

5. როდესაც მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტების ინიციატივებს და არგებს საკუთარ პედაგოგიურ ამოცანებს.

6. როდესაც აქტივობების ორგანიზებისას გათვალისწინებულია შემსწავლელთა კულტურული და სოციალური გამოცდილება.

ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს დასახული მიზნების მიღწევაში.

## **ზექალაშვილი რუსუდან**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ლექსიკის თემატური დაყოფა ქართულის სასწავლო ონლაინლექსიკონში**

ნაშრომში განხილულია ლექსიკის სწავლისა და სწავლების ზოგიერთი სტრატეგია ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის პროცესში სასწავლო ონლაინლექსიკონის დახმარებით, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე [www.geofl.ge](http://www.geofl.ge).

ნაშრომის მიზანია ლექსიკის თემატური კლასიფიკაციის მნიშვნელობის წინ წამოწევა სიტყვათა სემანტიზაციისა და გამოყენებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თემატური ჯგუფების შერჩევას ქართული ენის სწავლების სხვადასხვა დონეზე და ამ მონაცემების პროგრამულ ინტეგრირებას სასწავლო ლექსიკონში ავტორის კონცეფციის მიხედვით.

თემატური დაყოფისათვის გამოყენებულია ლექსიკის გავრცელების სიხშირული მეთოდი, დისტრიბუციის, სემანტიზაციისა და აღწერითი მეთოდები.

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამა „ირბახი“ შეიქმნა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში (პროექტის იდეის ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. მარიკა ოძელი). ის მოიცავს მთელ სასწავლო კომპლექსს, რომელიც ხელს უწყობს ქართული ენის ფონეტიკური და გრამატიკული სირთულეების დაძლევას, ძირითადი ლექსიკური მარაგის დაუფლებასა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სასწავლო-მეთოდური მასალის ყველა კომპონენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია. სწავლების ყველა დონეზე (A1, A2, B1, B2, C1, C2) შესაძლებელია ქართულის სხვადასხვა ასპექტის ათვისება: მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავება (იხ. ზეეკ). ამ კომპონენტების სწავლება შეუძლებელია ლექსიკისა და გრამატიკის გარეშე, რასაც ემსახურება სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და სავარჯიშოთა სისტემა.

ლექსიკის სწავლებაში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი და სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც აადვილებს ახალი სიტყვის დამახსოვრებას, მის ადეკვატურ გამოყენებას ზეპირი თუ წერილითი კომუნიკაციის დროს. სახელმძღვანელოები ეფუძნება ლექსიკის თემატურ დაყოფას და შესაბამის თვალსაჩინოებას. მაგალითად, გამოყოფილია ჯგუფები: ოფისი, სახლი, ავეჯი, ადამიანის სხეული, ტანსაცმელი, საჭმელი, სასმელი, ტრანსპორტი, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები და მრავალი სხვ.

დასახელებული სასწავლო კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო ონლაინლექსიკონი, რომელშიც ლექსიკა თემატურადაც არის დაყოფილი (ლექსიკონის კონცეფცია და სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სტრუქტურა შემუშავებულია ავტორის მიერ). ყოველ სიტყვასთან მითითებულია თემატურ-სემანტიკური ჯგუფი, ზოგჯერ ორი ან სამი კი. სულ გამოყოფილია 42 ასეთი ჯგუფი, დალაგებული ანბანის რიგზე.

თითოეული ლექსიკური ერთეული გახმოვანებულია; ისინი, უპირველეს ყოვლისა, დახასიათებულია სემანტიკურად, სინონიმების, ანტონიმებისა და იდიომების მითითებით, დასახელებულია სანიმუშო წინადადებები (უმეტესად – შესაბამისი დონის სახელმძღვანელოების მიხედვით). გრამატიკულ დახასიათებაში ნაჩვენებია მეტყველების ნაწილი და მისი მთავარი პარამეტრები.

ვებგვერდის ლექსიკონში ინტეგრირებულია მსგავსი სემანტიკური ჯგუფის სიტყვათა არჩევის ფუნქცია დონისა და მეტყველების ნაწილების მიხედვით. სალექსიკონო მონაცემების დიგიტალიზაცია და ერთმანეთთან დაკავშირება მოხერხდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

ლექსიკონის კონცეფციის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია გერმანულის, როგორც უცხო ენის, შემსწავლელი პროგრამა (Profile Deutsch) და მასში ჩართული ლანგენშაიდტის დიდი ლექსიკონის ლექსიკოგრაფიული გამოცდილება (გლაბონიატი და სხვ. 2002; ლანგენშაიდტი 2008; ასევე იხ.: კურციო 2015; ელიასი, ალფაკი 2014).

## **თოდუა ანა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

## **ტუფურია სტელა**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მულტიმედიაური და დიდაქტიკური თამაშების გამოყენება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა/სწავლების პროცესში**

მთელ მსოფლიოში ადამიანების უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის გამო სწავლობს უცხო ენას. პირველ ენას, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ნაკლები ძალისხმევით სწავლობენ და წარმატებას ყველა აღწევს. მეორე ენის შესწავლის პროცესში კი წარმატება გარანტირებული არ არის. აქ გასათვალისწინებელია ბევრი სხვადასხვა პირობა და პროცესი.

ქართულის, როგორც უცხო ენის, შესწავლის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. შესაბამისად, მასწავლებლების მხრიდან იზრდება მოთხოვნა ენის სწავლების თანამედროვე მეთოდური ლიტერატურის მიმართ, რომელიც ქართულ ენაზე საკმაოდ მწირია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, რაც საკითხის აქტუალურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

მოგეხსენებათ, ენათა დიდაქტიკის თანამედროვე მიდგომის მიხედვით აქცენტი კეთდება საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე. თემები და მასალა მორგებულია ენის შემსწავლელის საჭიროებებს და მოთხოვნებს. მოხსენებაში საუბარი გვექნება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა/სწავლების პროცესზე, გამოწვევებსა და იმ კონკრეტულ მიდგომებზე, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, ეფექტური აღმოჩნდა კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის პროცესში.

მიდგომები ერგებოდა ქართული ენის შემსწავლელთა საჭიროებებს და პროცესი უფრო საინტერესო და, რაც მთავარია, არასტრესული ხდებოდა.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება სწავლა/სწავლის მეთოდი და საშუალებები. ტექნიკის განვითარება, ციფრული სამყარო იძლევა ფართო არეალს სწავლების პროცესი, თანამედროვე მიდგომებზე დაყრდნობით, იყოს შემსწავლელზე ორიენტირებული.

მოხსენებაში გაანალიზებულია მულტიმედიური და დიდაქტიკური თამაშების როლი ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა/სწავლებისას. დიდაქტიკური თამაშების მნიშვნელობა მსმენელში მოტივაციის ასამაღლებლად და ისეთი გარემოს შექმნა, როცა სწავლა/სწავლების პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო; აგრეთვე, ის თუ რამდენად ეხმარება სასწავლო აქტივობები ქართულის, როგორც ცხო ენის, შესწავლის პროცესის გამარტივებას. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული მაგალითები, საავტორო თამაშები, აპლიკაციების დახმარებით. ვფიქრობთ, რომ მოხსენებაში წარმოდგენილი საკითხები აქტუალური და საინტერესო იქნება მსმენელისათვის.

## **იუანი ბო**

*პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტი, ჩინეთი*

### **ქართულის როგორც მეორე ენის სასწავლო მასალის შემუშავება შერეული სწავლების ფორმატში**

სამხრეთ კავკასიური რეგიონის ერთიანობისა და ამ რეგიონში საქართველოს ცენტრალური სტატუსის დამკვიდრების პერსპექტივის ფონზე ქართულის სწავლა და გამოყენება ამ უფრო ფართო კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვან როლს იძენს, რაც ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებას დიდ როლს ანიჭებს. ტრადიციული მიდგომით, ენების სწავლა საკლასო სივრცეში ხორციელდება, სადაც მასწავლებლები თამაშობენ ძირითად როლს, რომლებიც შემსწავლელთა სასწავლო პროცესს მთლიანად წარმართავენ - ამოწმებენ და აკონტროლებენ მათი ახალი, მეორე ენის ათვისების პროცესს. მაგრამ, თანამედროვე ტექნოლოგიათა - ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული პროგრამები, ინტერნეტული ქსელები და სხვ. - განვითარება საშუალებას იძლევა ეს პროცესი უფრო მეტად დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს. ტექნოლოგიათა განვითარებამ სწავლა-სწავლების ახალი შესაძლებლობები გააჩინა და ახალი ფორმები წარმოქმნა: დისტანციური და ე.წ. ჰიბრიდული, ანუ შერეული. ტრადიციული, შერეული და დისტანციური სწავლება სამი განსხვავებული ტიპის ფორმატს წარმოადგენს და გამოყენებულია გარკვეული მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად. ენების დასწავლაში ჩართულია როგორც ფორმაზე, ისე მნიშვნელობაზე ორიენტირებული ამოცანები და სავარჯიშოები. სწავლების პროცესზე გავლენას ახდენენ სხვადასხვაგვარი ფაქტორები: შემსწავლელთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებები, ინტერაქციების მართვა და დაბალანსება, დროისა თუ ადგილის შეზღუდვები და სხვ. აქედან გამომდინარე, შერეული სწავლება, რომელიც ტრადიციულის პარალელურად ახალ ვითარებებსაც ითვალისწინებს, უფრო გონივრული ფორმატი ჩანს ენების სწავლისა და სწავლების ამ ახალ ეტაპზე.

ენების სასწავლო პროცესის შემადგენელი მთავარი კომპონენტებია: მასწავლებელი, შემსწავლელი და სასწავლო მასალა. არსებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში პირველი ორი კარგად არის განხილული და შესწავლილი სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგრამ მესამე ფაქტორივად უგულებელყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ ისიც საკვანძო როლს თამაშობს ამ პროცესში. განსაკუთრებით იზრდება ამ კომპონენტის როლი ახალ ფორმატში, რომელიც უფრო მეტი სახეობის მასალის გამოყენების შესაძლებლობას გვაძლევს, რითაც სწავლება და სწავლა უფრო მიზანმიმართულად და ეფექტურად ხორციელდება. 2014 წელს „ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსი“ შეიქმნა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ. ტექნოლოგიური ინოვაციებით შედგენილი ქართული ენის სასწავლო მასალა ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრულ საერთო ევროპული სტანდარტის (CEFR) მიხედვით არის წარმოდგენილი ელექტრონულ რეჟიმში და ორიენტირებულია სომხურზე და აზერბაიჯანულზე მოლაპარაკეთათვის, რაც ხელს უწყობს ამ ორ ენაზე მოლაპარაკეების მიერ ქართულის სწავლას, ეს კი, თავის მხრივ, რეაგირებს ქართულის როლის გაზრდაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რადგან კურსი ელექტრონულად არის შექმნილი და წარმოდგენილი, უკვე შესაძლებელი ხდება ამ მასალის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში, თუმცა, საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ტრადიციული სწავლება მაინც მთავარ ადგილს იკავებს. ამდენად, ყველაზე მეტად არსებულ რეალობას პასუხობს შერეული სწავლების ფორმატი, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საჭირო ინტერაქციას, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობებს რესურსების ხელმისაწვდომობას რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით და ამყარებს-ახალისებს შემსწავლელთა ინიციატივასა და ავტონომიას. მაგრამ, შერეული სწავლების ფორმატში შესაფერისი მასალის შექმნა და წარდგენა მასწავლებლებისთვის და შემსწავლელებისთვის უკვე სპეციფიკურ დამუშავებას მოითხოვს, შერეული სწავლების პოტენციალი რომ სრულად და ეფექტურად იყოს გამოყენებული. წარმოდგენილ ნაშრომში, „ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსის“ საფუძველზე, განხილული და შესწავლილია ქართულის როგორც მეორე ენის შერეული სწავლების ფორმატში სომხურად და აზერბაიჯანულად მოლაპარაკეთათვის შექმნილი მასალის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები და შემოთავაზებულია გარკვეული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები.

## **კაჭარავა ნანული**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქართული ენის სწავლება თურქეთში (დუზჯეს უნივერსიტეტის მაგალითზე)**

დუზჯე თურქეთის ყველაზე ახალგაზრდა 81-ე ვილაეთია. იგი არის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებული ჩერქეზების, ინგუშების, ჩეჩნების, ოსების, ნებით თუ უნებლიეთ ემიგრირებული მუჰაჯირი ქართველების, აფხაზების ლოკალურად დასახლების რეგიონი და არცაა გასაკვირი, რომ ქალაქში 24 ენა ისმის. დუზჯეში დაარსებული უნივერსიტეტი შედარებით ახალგაზრდაა, იგი 2006 წელს გაიხსნა. სწორედ რეგიონის მრავალფეროვნებამ განაპირობა დუზჯეს უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნა. ამ განყოფილებას ორი მიმართულება აქვს: ჩერქეზული ენისა და ლიტერატურისა და ქართული ენისა და ლიტერატურისა და ორივე მათგანი არსებობს 2013 წლიდან. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის დამსახურებაა, რომ პირველივე წელს აღმოჩნდნენ ამ მიმართულებებზე სწავლის მსურველი სტუდენტები. მაშინ როცა, ჯერ ჩაფიქრებული იყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, პროგრამების დაწერა და ჯერ, ასე ვთქვათ, ნიადაგის მომზადება, როგორც ეს მოხდა რიზეს უნივერსიტეტის მაგალითზე.

გარდა დუზჯეს უნივერსიტეტისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებები მოქმედებს თურქეთის კიდევ სამ უნივერსიტეტში. ესენია ყარსის, არდაჰანისა (ისტორიული არტაანი) და რიზეს უნივერსიტეტები, ხოლო ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილება მთელი თურქეთის მასშტაბით პირველად სწორედ დუზჯეს უნივერსიტეტში დაარსდა. დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებას დანარჩენ სამ ქართველოლოგიის ცენტრთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქვს როგორც

ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სწავლების ორი საფეხური. მაგრამ როგორ ისწავლება თურქეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში ქართული ენა? თუ ჩვენ გვინდა სრულყოფილად ვასწავლოთ ქართული, რათა თურქეთის უნივერსიტეტებში გახსნილი ქართული ენის კათედრები მომავალში ქართველოლოგიურ კერებად ჩამოყალიბდეს, ამისათვის პირველ რიგში საჭიროა პროფესიონალი კადრები. და რა მდგომარეობაა თურქეთში კადრების თვალსაზრისით? ვინ არჩევს და ვინ გზავნის მათ?

მოხსენებაში საუბარი იქნება ზოგადად ქართველოლოგიურ ცენტრებზე და კერძოდ, მაგალითები მოყვანილი იქნება დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებიდან. შეუძლებელია სრულყოფილად, აკადემიურ დონეზე ქართული ენა ასწავლოთ თურქეთში (ან თუნდაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში) მხოლოდ ქართულით. იქ ჩასული პედაგოგი სასურველია მაღალ დონეზე ფლობდეს თურქულ ან ინგლისურ ენას. თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად იციან ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე, რაღა დასამალია და, საკმაოდ დაბალი ქულებით მოხვედრილმა სტუდენტებმა. საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით აუცილებელია თურქული ენის ცოდნა და კავკასიური ენების განყოფილების ჩერქეზ თუ ყაზარდოელ პედაგოგებთან ელემენტარული ურთიერთობის დასამყარებლად კი საჭიროა რუსული ენის ცოდნაც.

თურქეთის უნივერსიტეტებში დაშვებული ქართული ენის განყოფილებები არის აკადემიური ერთეულები, სადაც სრულყოფილად უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა და ლიტერატურა და არა მარტო ქართული ანბანი და წერა-კითხვა, რასაც მშვენივრად ასწავლიან ქართული ენის შემსწავლელი კურსებზე. ეს კურსები კი ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით მომრავლდა და პოპულარული გახდა მთელ თურქეთში.

შეუძლებელია ასწავლო ქართული ენის მორფოლოგია, სინტაქსი, უცხოელებისათვის ეგზომ რთულად დასაძლევ ქართული ზმნა, თუ პედაგოგს საფუძვლიანად არ ეცოდინება თურქული გრამატიკა, რადგან ქართული ზმნის კატეგორიების ნახევარზე მეტი თურქულ ზმნას არ გააჩნია და ეს ყველაფერი აღწერით ასახსნილია. ამიტომ კომპარატივისტული მეთოდის გამოყენება აუცილებელია. რაც შეეხება თეორიულ საგნებს, აქ მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულადაა. საქართველოში თურქოლოგიის განყოფილებებზე სტუდენტებს ჩვენ ხომ ქართულ ენაზე ვუკითხავთ თურქეთის ლიტერატურას, ფოლკლორს, ისტორიას. მაშ, რა დააშავს თურქმა სტუდენტებმა. ისინი ვერაფრით ვერ დაძლევენ ქართულ ენაზე წაკითხულ ქართულ ლიტერატურას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პედაგოგმა არ იცის ერთი სიტყვა თურქული. ეს იწვევს ვაკუუმს აუდიტორიასა და პედაგოგს შორის, ლექცია გაუგებარი ხდება, რის გამოც ვკარგავთ სტუდენტებს. არც თურქეთში ხანგრძლივი ცხოვრებით ნასწავლი ჩიქორთული თურქული გამოდგება აკადემიური ლექციის ჩასატარებლად. ჩვენ უნდა გავუადვილოთ თურქ სტუდენტებს ქართული ენის (მათთვის საკმაოდ რთული ენის) სწავლა ქართველი თურქოლოგების დახმარებით. ჩვენ უნდა შევავაროთ მათ საქართველო, ქართული ენა და ქართველები. უნდა ვასწავლოთ ქართული უფრო მომხიბლავად, მიმზიდველად, მათი მშობლიური ენის დახმარებით და ეს ხელეწიფებათ ქართველ თურქოლოგებს.

### **კეკელიძე თამარ, კუკულაძე გურანდა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **სალაპარაკო აქტივობები პროფესიული ინგლისური ენის შესწავლისთვის**

სტატიის მიზანია აჩვენოს თუ როგორ შეიძლება მასწავლებელმა იმუშაოს კონკრეტულად ლაპარაკის უნარის განვითარებაზე გაკვეთილის ყველა საფეხურის გავლით და მიაღწიოს მიზანს- შექმნას გარემო, სადაც სტუდენტს აქვს საშუალება თავისუფლად იურთიერთოს, ისაუბროს იმ საკითხებზე, რომლებიც კავშირშია მის მომავალ პროფესიასთან. პროფესიული ინგლისურის

ძირითადი მიზანია სტუდენტებისთვის იმ ლექსიკის და უნარების სწავლება, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული სფეროსთვის. შესაფერისი მასალის და მეთოდების საშუალებით მასწავლებელი უდაოდ შეძლებს სტუდენტების მოტივირებას, რათა მათ დახვეწონ ლაპარაკის უნარი.

არსებული ინფორმაციის და სწავლების სხვადასხვა მეთოდების სწორად გამოყენება მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა. როდესაც არსებობს პროფესიული ინგლისურის სახელმძღვანელოების სიმცირე კონკრეტული სპეციალობებისთვის, მასწავლებელს შეიძლება დასჭირდეს ისეთი პროგრამის შემუშავება, სადაც შეეცდება ამ დანაკლისის აღმოფხვრას. ჰატჩინსონი და ვოტერსი (1987:65) სამ ძირითად მიდგომას აღწერენ პროფესიული ინგლისურის შესწავლის პროგრამის შედგენაში: პირველია ლექსიკაზე ორიენტირებული, მეორე-სწავლებაზე და მესამე უნარებზე ორიენტირებული. საქმე ისაა, რომ კურსის მიზნები და შესასწავლი მასალა კორელაციაშია სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებთან, რაც უმთავრესია პროფესიული ენის სწავლების პროცესში. შესაფერისი ლექსიკაზე, უნარებზე და თემატიკაზე მუშაობა უნდა იყოს ასახული სტუდენტებისთვის შეთავაზებულ დავალებებში. აქტივობის დასრულებისთვის მასწავლებელს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გაართვეს თავი სტუდენტებმა მოცემულ დავალებას, არამედ რამდენად სწორად იყო ესა თუ ის აქტივობა შერჩეული. რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა გაადვილებს შეთავაზებული დავალების ანალიზს. ეს კითხვებია: რამდენად გაიაზრეს სტუდენტებმა დავალების მოცემულობა? მოახერხეს თუ არა მათ მასწავლებლის დახმარების გარეშე მუშაობა? იყვნენ თუ არა სტუდენტები სათანადოდ მოტივირებულები? გამოყენებული ლექსიკა რამდენად ბუნებრივად და რეალისტურად ჟღერდა? და ბოლოს, თავად სტუდენტები მიიჩნევენ თუ არა აქტივობას სასარგებლოდ და ინფორმატიულად?

ისეთი სტრატეგიები როგორცაა სიმულაციური და როლური თამაშები აქტიურად გამოიყენება სტუდენტების ლაპარაკის უნარის დახვეწისთვის. სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ დადებითი ასპექტები სიმულაციური აქტივობებისა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ სალაპარაკო ინგლისურის განვითარების საქმეში. ამავდროულად წარმოგიდგინებ რამდენიმე სალაპარაკო უნარზე ორიენტირებულ სავარჯიშოს, რომლებიც სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას მოითხოვს და რომლებიც საჭიროებს სტუდენტების ჩართულობას, რა დროსაც მათ თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შეხედულებების დაფიქსირება. უმთავრესი საკითხი მასწავლებლისთვის არის შესაფერისი აქტივობების შექმნა, მიწოდება. სწორედ ამიტომ, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში ჩატარებულ გაკვეთილებზე შეთავაზებული სალაპარაკო აქტივობების ანალიზი გახდა სტატიის თემა.

საპილოტე კურსისთვის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან შეირჩა სხვადასხვა დონის ორი ჯგუფი. ესენია :B1 და B2. ამ ჯგუფებთან მუშაობის შედეგად გამოვლინდა ისე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ჯგუფში მაღალი იყო სტუდენტების სურვილი და მოტივაცია მონაწილეობა მიეღოთ სალაპარაკო აქტივობებში. რაც შეეხება მოცემული აქტივობების უარყოფით მხარეებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი გამოსწორება შესაძლებელია სტუდენტების სწორი განაწილებით სამუშაო ჯგუფებში, რაც, თავის მხრივ, თვალსაჩინო არის და იძლევა სურათს, როდესაც თითოეული სტუდენტი ჩართულია საბოლოო შედეგის მიღებაში. სტატიაში შევეცდებით გამოვყოთ მასწავლებლის როლი სალაპარაკო აქტივობების დაგეგმვის და შესრულების პროცესში. ეს არის საკმაოდ შრომატევადი სამუშაო და მოიცავს დაგეგმვის, შესრულების და შეფასების ეტაპებს. ამ ფაზების სწორად გავლა შეუძლია იმ მასწავლებელს, რომელიც არა მარტო მაკონტროლებლის როლს ასრულებს, არამედ კრეატიულიც არის და შეუძლია ჩვეულებრივი სავარჯიშოების და აქტივობების სიმულაციურ სავარჯიშოებად გარდაქმნა.

## კიკვაძე მათა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### მრავალფეროვანი აუდიტორიის თავისებურებანი და ენის სწავლების რამდენიმე საკითხი

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება გულისხმობს საზოგადოდ უცხო ენის სწავლების ცნობილი და აპრობირებული მეთოდების გამოყენებას. თუმცა არ არსებობს ენის სწავლების უნივერსალური მეთოდი. ყველა შემთხვევაში აუცილებელია სამიზნე ენის სპეციფიკის გათვალისწინება და ენის შემსწავლელი ჯგუფის ინტერესები, მიზნები, მოტივაცია, შესაძლებლობები და ფონური ცოდნა.

ამ ბოლო წლებში საკმაოდ იმატა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულთა მხრიდან ქართული ენის შემსწავლელთა რიცხვმა. ესენი არიან თურქები, თურქმენები, ყაზახები, პოლონელები... ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. საქართველოში, განსაკუთრებით ბათუმში, სხვადასხვა ასაკის ძალიან ბევრმა უკრაინელმა, რუსმა გამოთქვა სურვილი ქართული ენის შესწავლისა. ჩამოთვლილთა (და არა მხოლოდ) უმეტესობას სურს სწავლა განაგრძოს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქართული ენის შესწავლას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება მრავალფეროვან აუდიტორიაში, რომელთაც არ ესმით ერთმანეთის, აქვთ განსხვავებული კულტურა, რელიგია და შეხედულებები. ასეთი აუდიტორია თავისებურებით ხასიათდება. განსხვავებული აუდიტორიის მართვა კი მასწავლებლის მხრიდან გაცილებით მეტ შრომას, პასუხისმგებლობას და ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვს. მასწავლებლისთვის საკმაოდ რთულია ენობრივად შერეული ჯგუფის თითოეულ მსმენელამდე მიიტანოს მასალა, თან ისე, რომ არც ერთს არ მოაკლოს ყურადღება.

ცნობილია, რომ ახალი ენის შემსწავლელი ყველაზე უკეთ მხედველობით მიღებულ ინფორმაციას აღიქვამს და იმახსოვრებს.

მრავალფეროვან აუდიტორიაში ახალი მასალის ახსნისას სასარგებლოა პრეზენტაციის ვიზუალური დამხმარე საშუალებების გამოყენება, რაც ინფორმაციის მოსმენა-გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მათგან ყველაზე გავრცელებულია სლაიდ-შოუ, დაფა, ფლიპჩარტი და ჰენდაუთი.

პრეზენტაციის დამხმარე საშუალებებიდან ეთნიკურად შერეულ ჯგუფებთან, რომლებიც სხვადასხვა ენის მომხმარებლები არიან და სხედან ერთ აუდიტორიაში, ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ყველაზე მისაღებ ფორმად მიგვაჩნია ჰენდაუთების გამოყენება-დარიგება.

გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი, უხერხულობის მომენტიც და რაც მთავარია, მასწავლებლის მიზანი- ახალი ლექსიკა, ფრაზები ყველამ ერთნაირად, თანაბარ პირობებში უნდა აითვისოს. ამ დროს მასწავლებელი იყენებს თეზისების ფურცელს, ე.წ. ჰენდაუთს. იგი ამობეჭდილი სახით ურიგდება აუდიტორიის ყველა წევრს. „მისი მთავარი დანიშნულებაა, განაწყოს მსმენელი პრეზენტაციის მოსასმენად, გაუადვილოს მას ინფორმაციის გააზრება და მოსმენის პარალელურად არ დასჭირდეს ინფორმაციის ჩაწერა“.

ამობეჭდილი მასალა ენის შემსწავლელისთვის სანდო მეგობარია. მსმენელი თავს უფრო მშვიდად გრძნობს. თუ ჰენდაუთებს ვიზუალურადაც სასიამოვნოს გავხდით, კიდევ უფრო მეტად სახალისო იქნება სწავლების პროცესი. ამასთან, ჰენდაუთი უნდა იყოს მოკლე, მოზრდილი შრიფტით შესრულებული. უმჯობესია, მივაწოდოთ რამდენიმე ფურცელი მოკლე ფორმატით და არა გადატვირთული მასალით.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მრავალფეროვანი აუდიტორიის პირობებში ენის სწავლების რამდენიმე საკითხზე.



## კიკვიძე ზაალ

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ, საქართველო

### მიმართვის შექცევადი ბინომური ფორმის შესახებ ქართულში

რადგანაც მოხსენებაში გამიზნული გვაქვს მიმართვასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების განხილვა ენასა და საზოგადოებაში, თავიდანვე უნდა განვაცხადოთ შემდეგი: მხოლოდ იმის კონსტატირება, რომ მიმართვის საშუალებით აღვნიშნავთ თანამოუბარს, ძალიან ცოტას თქმას ნიშნავს ამ საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი მოვლენის შესახებ, რომელიც უამრავ ენობრივად და კულტურულად განპირობებულ თავისებურებას მოიცავს. ამის მიზეზი ისაა, რომ მიმართვა წარმოადგენს მოვლენას, რომლის ფარგლებშიც ენობრივი და კულტურული თავისებურებები ერთმანეთს ერწყმის.

მოხსენებაში განვიხილავთ ინგლისური მიმართვის ბინომური ფორმის *Ladies and Gentlemen* ქართულ ეკვივალენტებს. ბინომს წარმოვადგენთ როგორც სტაბილურ შესიტყვებას, რომელიც ორი (ზოგჯერ მეტი) სიტყვისაგან შედგება და რომლებიც შეერთებულია 'და' კავშირის მეშვეობით. აუდიტორიისადმი მიმართვის ინგლისური ფორმა *Ladies and Gentlemen* შეუქცევადი ანუ ფიქსირებული ბინომია, რადგანაც იგი მხოლოდ ამ თანამიმდევრობით გვხვდება. რაც შეეხება მის ქართულ ეკვივალენტს, იგი ორივე თანამიმდევრობითაა პოვნადი:

(1) *ქალბატონებო და ბატონებო*

(2) *ბატონებო და ქალბატონებო*

ქართული ეკვივალენტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ორივე თანამიმდევრობით გვხვდება მაშინ, როცა ინგლისურში და ევროპის ენებში მხოლოდ სიტყვათა ერთი რიგი გვაქვს.

იმისათვის, რომ აღვწეროთ ეს თავისებური ფორმა და ჩავწვდეთ მის არსს, თავდაპირველად განვიხილავთ ქართული ენის მიმართვის ფორმათა სისტემას, რის შემდეგაც შევხებით მიმართვის ამ ფორმულის შემადგენელი ერთეულების ეტიმოლოგიასა და სემანტიკურ სახეცვლილებებს, და საბოლოოდ ჩამოვყალიბებთ აღნიშნული ფორმულის (როგორც მთლიანად, ისე ცალკეული შემადგენელი ერთეულების) განმარტებებს ბუნებრივი სემანტიკური მეტაენის მეთოდის საფუძველზე.

კვლევის ყველა ეს ასპექტი საშუალებას გვაძლევს, რომ ცხადად წარმოვაჩინოთ აღნიშნული მიმართვის ბინომური ფორმულისა და მისი შემადგენელი ერთეულების თავისებურებები, რომლებიც გამორჩეულია როგორც ენობრივი, ასევე კულტურული თვალსაზრისით.

## კილაძე ნათია

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი, საქართველო

### PBL მეთოდებზე დაფუძნებული სწავლება და თანამედროვე ონლაინ სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში

ბოლო ათწლეულში მიმდინარე განათლების რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა სასკოლო განათლების შესახებ და აქტუალური გახდა ბავშვზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, მეთოდების, სტრატეგიების და რესურსების მაქსიმალურ მორგებას ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. მასწავლებლის მიზანია

,რომ გაკვეთილი და შესაბამისი რესურსი გათვლილი და ხელმისაწვდომი იყოს თითოეულ მოსწავლეზე და მათ შესაძლებლობებზე. მოსწავლეთა სწავლის შედეგები უმჯობესდება საინტერესო აქტივობების გამოყენებით, სწორედ პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში

ჩართულობა აძლევს მოსწავლეებს საშუალებას მოახდინონ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება.

დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მოსწავლე კარგად ითვისებს მასალას როდესაც თვითონ არის აქტიურად ჩართული სასწავლო პროცესში. შესაბამისად სიახლეები სასწავლო პროცესისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. დღეს უკვე აქტიურად ვიყენებ ჩემს გაკვეთილზე კომპლექსურ დავალებებს, პროექტულ სწავლებას. თანამედროვე რესურსებს, ტექნოლოგიებს, სტრატეგიებს, მეთოდებს. კომპლექსური დავალება არ არის მხოლოდ დავალება, ეს არის მუდმივი სასწავლო პროცესი.

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიამ მოიცვა ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, გამონაკლისი არც განათლების სისტემა იყო. დისტანციური სწავლება, ონლაინ, ელექტრონული, ციფრული ტექნოლოგიებით გამდიდრებული დისტანციური სწავლება, ყველა ეს ტერმინი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვასა და სასწავლო პროცესის დიგიტალიზაციაზე. ამ მიზნით მუშავდება მრავალი სტრატეგია, რომელიც ძირეულად ცვლის სწავლებისა და სწავლის ტრადიციულ მეთოდებსა და მიდგომებს და ახდენს 21-ე საუკუნის განათლების სისტემის სუპერმოდერნიზებას.

სასწავლო პროცესი მუდმივად საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან შემოქმედებითობას და მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას, რაც, რა თქმა უნდა, ასევე ხელს უწყობს მოსწავლის სწავლის მიმართ მოტივაციის გაზრდას. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში შემოქმედებით უნარებს ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი. გაკვეთილზე ყოველთვის ხელს ვუწყობ, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად მიმაჩნია სასკოლო ცხოვრებაში არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობა. გამოვეყოფდი პროექტულ სწავლებას, რომელსაც აქტიურად ვიყენებ სასწავლო პროცესში. რატომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება? იმიტომ, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის აქტიური სწავლების პედაგოგიკა, რომელიც მოსწავლეს ორიენტირებული. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა მოტივაციური აქტივობები, როგორცაა PBL პროექტზე დაფუძნებული სწავლება. სწავლების სტრატეგია ეფუძნება სემანტიკურ მსჯელობას, პრეცედენტების ანალიზს, ანალოგიურ მსჯელობას, კვლევით სამუშაოებს, რაც გულისხმობს ახალი პრობლემების დასმას და გადაწყვეტას, ანალოგიების მოძიებას, საკუთარი ნაშრომების შექმნას. კრიტიკული აზროვნება; კრეატიული აზროვნება; სევე პროექტული სწავლებით მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკური მარაგს უცხო ენაში და სწავლა მათთვის გახდება უფრო საინტერესო.

ინოვაციური სასწავლო სტრატეგიების, მეთოდების და რესურსების გამოყენება უცხოური ენის გაკვეთილზე მოსწავლეებს უვითარებს სხვადასხვა უნარებს: ციფრული წიგნიერების უნარები: ინფორმაციული წიგნიერება; მედიაწიგნიერება; ტექნოლოგიური წიგნიერება. ცხოვრებისთვის საჭირო უნარები მოქნილობა; ლიდერობა; ინიციატივა; პროდუქტიულობა.

წინამდებარე საკონფერენციო თემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. დასაწყისისთვის ვისაუბრებ ინოვაციური სასწავლო სტრატეგიების, მეთოდების, კომპლექსური დავალებების, პროექტული სწავლების როლზე გაკვეთილზე და მოსწავლეთა მოტივაციაში. ონლაინ რესურსების უპირატესობებზე. ჩემს თემაში წარმოგიდგინებ სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტებს, პლატფორმებს, ვებგვერდებს, აპებს და თამაშებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ონლაინ სწავლებისთვის, არამედ ზოგადად სწავლებისთვის. ასევე გავუზიარებ კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას პრაქტიკულ გამოცდილებას მეორე უცხოური ენის სწავლებისას როგორ მოვახდინოთ სხვადასხვა მრავალფეროვანი რესურსებით მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაცია. როგორც მასწავლებელს შექმნილი მაქვს ჩემი ბლოგი, სადაც დრო და დრო ვათავსებ სხვადასხვა აქტივობების, სასწავლო რესურსებს შესაბამისად დოკუმენტაციებს. მოვახდენ ასევე ამ გვერდის გაცნობას. 21-ე საუკუნეს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ

ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიების ეპოქა. ყველა ვთანხმდებით, რომ ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა მიჯაჭვულია გაჯეტებსა თუ სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობებზე, რამაც მოსწავლეებში ემოციების დეფიციტი გამოიწვია. ჩვენს ირგვლივ ყველა, და მათ შორის მოსწავლეებიც, შესაბამისად ასევე ჩემს საკონფერენციო თემაში ყურადღებას გავამახვილებ მოსწავლის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე რა როლს ასრულებს მრავალფეროვანი მიდგომები. წარმოვადგენ PBL პრობლემაზე დაფუძნებული პროექტული სწავლების უპირატესობებს.

## **კოჭლამაზაშვილი ვენერა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქრისტიანული სასულიერო ძეგლების მნიშვნელობა არაბული ენის შესწავლისათვის (საბას ლავრის ტიპიკონის მაგალითი)**

ცნობილია, რომ ენობრივი ვითარება არაბულ სინამდვილეში დიგლოსიურია (მულტიგლოსიურიც). ის მოიცავს როგორც სალიტერატუროს (კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო (სტანდარტ-ენა)), ასევე სასაუბრო (სამეტყველო) ენას (თანამედროვე არაბული ენა, დიალექტები). არაბული ენის სწავლისას ამ „სინამდვილის“ ფაქტი გასათვალისწინებელია და საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს არაბულ ენაზე შექმნილ სხვადასხვა მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორც კლასიკური არაბულისთვის, ასევე დიალექტებისთვის.

რელიგიური თემატიკა და ტერმინოლოგია ერთნაირად მნიშვნელოვანია არაბული საზოგადოების წარსულისა და თანამედროვეობის კვლევისა და გააზრებისათვის, თვით ყოველდღიური ურთიერთობების დონეზე არაბული ენის გამოყენების თვალსაზრისითაც, ამიტომაც არაბული ენის სწავლებისას სათანადო დროს ვუთმობთ სასულიერო შინაარსის ტექსტებსაც. სტუდენტი ეუფლება როგორც კლასიკურ არაბულს ყურანისა და კლასიკური ლიტერატურული ძეგლების მეშვეობით, ასევე, დიალექტებსაც, რომელშიც მოიაზრება თანამედროვე, სასაუბრო ენა, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში არაბები, როგორც მუსლიმები, ასევე ქრისტიანები მეტყველებენ. რაც შეეხება წერილობით ძეგლებს, მუსლიმი არაბები სასულიერო ლიტერატურას კლასიკურ არაბულზე ქმნიდნენ, ხოლო ქრისტიანები დიალექტზე (მცდელობა ჰქონდათ შეექმნათ სალიტერატურო არაბულზე). ამიტომ, იმისათვის, რომ სტუდენტი სრულყოფილად ფლობდეს არაბულ ენას, აუცილებელია როგორც კლასიკურის, ასევე დიალექტების შესწავლა სინქრონულად. ამ უკანასკნელში მოიაზრება როგორც თანამედროვე არაბული დიალექტის წარდგენა (ეგვიპტური და სირიული), ასევე დიალექტზე შესრულებული ქრისტიანული სასულიერო ძეგლები.

რელიგიური თემატიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს ყურანის გარკვეულ ფასადებს, როგორც კლასიკური ენის ნიმუშს, რაც პრაქტიკულად გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებაში არაბული ენის სწავლებისას. ქრისტიანული არაბული ხელნაწერიდან, საბას ლავრის ტიპიკონის არაბული თარგმანის გამოყენება სწავლების პროცესში კარგად გვიჩვენებს, რომ არაბული (სალიტერატურო თუ სასაუბრო) ენის დაუფლებისას მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე მასალების გამოყენება, ასევე გარკვეულწილად ძველი ტექსტების ანალიზიც.

ძირითადი შედეგები: არაბული ენის სრულყოფილად (კლასიკური, სალიტერატურო და დიალექტები) დაუფლება.

## ლი ჯიანფენგი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სახელმძღვანელო „აღმართის“ სიტყვების გამეორების სიხშირული მაჩვენებლების ანალიზი

ენაში სიტყვების გამოყენების სიხშირული მაჩვენებელი არის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლის გათვალისწინებაც გავლენას ახდენს მეორე ენის ათვისების ეფექტური სტრატეგიის შემუშავებაზე. საზოგადოდ, მეორე ენის შემსწავლელთათვის სიტყვების მარაგის გაზრდის მთავარი წყარო არის სახელმძღვანელოში მოცემული სიტყვების ციკლური გამეორება გაკვეთილიდან გაკვეთილამდე, რაც საგრძნობლად ზრდის სწავლება-სწავლის ეფექტს. შეიძლება ითქვას, რომ კარგი სახელმძღვანელო, ასე თუ ისე, ყოველთვის ითვალისწინებს ადრე ნასწავლი სიტყვების მომდევნო თავებში გამეორებისას ამ სიტყვების გარკვეულ სიხშირულ მონაცემებს და სასწავლო პროცესს სწორედ ამ გამეორების ციკლზე დაფუძნებით აგებს.

რამდენადაც სიტყვების განმეორება სახელმძღვანელოებში მეორე ენის ათვისების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, საინტერესოა, არის თუ არა და რამდენად ეს ფაქტორი გათვალისწინებული ქართულის შესაბამის სახელმძღვანელოებში და რამდენად განსხვავდება სიტყვების გამეორების მაჩვენებელი ენის შესწავლის სხვადასხვა დონეზე?

მოხსენებაში ნ. ელისის მიდგომით გაანალიზებულია ქართულის როგორც მეორე ენის ერთ-ერთი კონკრეტული სახელმძღვანელო „აღმართი“, სწავლების A1-C1 დონეებზე. სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა თავების მიხედვით სიტყვების გამეორების სიხშირეების გასაანალიზებლად, მიმდინარე თავში მოცემულ სიტყვებს, რომლებიც უკვე მიწოდებული იყო შემსწავლელთათვის წინა თავებში, განვსაზღვრავთ „გამეორებულ სიტყვად“, დანარჩენებს კი „ახალ სიტყვებად“. ამავდროულად, განმეორებულ სიტყვებს ვყოფთ ორ ქვესიმრავლედ: მოკლევადიანი მეხსიერების სიტყვები და გრძელვადიანი მეხსიერების სიტყვები. მოკლევადიანი მეხსიერების სიტყვები არის ის სიტყვები, რომლებიც გამოჩნდა უშუალოდ წინა თავში, ხოლო კიდევ უფრო ადრეულ თავებში გამოჩენილი სიტყვები კვალიფიცირდება როგორც გრძელვადიანი მეხსიერების სიტყვები. ამის საფუძველზე გამოთვლილია გამეორების სიხშირული მაჩვენებლები ყოველი დონისა და თავისთვის. ახალი სიტყვების, მოკლევადიანი მეხსიერების სიტყვებისა და გრძელვადიანი მეხსიერების სიტყვების დადგენილი პროპორციების მიხედვით გამოთვლილია სიტყვის განმეორების სიხშირული მაჩვენებლები მეორე ენის შესწავლის სხვადასხვა დონეზე; ამასთანავე, გაანალიზებულია ამ პარამეტრის როლი ენის ათვისების პროცესში. ასეთი თეორიული მიდგომით მოპოვებული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მოცემულია ცდა სახელმძღვანელო „აღმართის“ უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოსავლენად, რაც საშუალებას იძლევა დაიხვეწოს და შემუშავდეს უფრო ეფექტური სასწავლო მასალა.

ჩატარებული კვლევა შეიძლება შეჯამდეს გარკვეული დასკვნების სახით:

- „აღმართის“ ქართულ სახელმძღვანელოებში აქცენტი არ არის გაკეთებული სიტყვების გამეორებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თავის ბოლოს მოცემულია ხშირად გამოყენებული სიტყვა-ფრაზების ჩამონათვალი.
- თითოეულ თავში მოკლევადიანი მეხსიერების სიტყვების პროპორცია საკმაოდ დაბალია, ანუ, უშუალოდ წინა თავის ახალ სიტყვებს შედარებით დაბალი გამეორების მაჩვენებელი აქვს მომდევნო თავში. ეს მიუთითებს, რომ ყოველი თავი შედარებით დამოუკიდებელია თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით და თავებს შორის სიტყვების გამოყენების კორელაცია არასაკმარისია. ეს ხაზს უსვამს სახელმძღვანელოს ნაკლებ ეფექტიანობას და რადგან სახელმძღვანელო „აღმართი“ არ თამაშობს წარმმართველ როლს გასამეორებელი სიტყვების შეხსენებაში, საჭირო ხდება წინა თავში ნასწავლი სიტყვების გასამეორებლად, მასწავლებლის მიერ დამატებითი აქტივობებისა თუ მითითებების სახით, კლასში ამ ხარვეზის აღმოფხვრა.
- რაც შეეხება გრძელვადიანი მეხსიერების სიტყვებს, ამ სახელმძღვანელოს A1-დან B1-მდე

დონეები ძირითადად სიტყვების გაცნობის ეტაპია და, შესაბამისად, სიტყვების გამეორების მაჩვენებელიც დაბალია. ახალი სიტყვების ათვისების სხვადასხვა ხერხებით მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების მარაგის გაუმჯობესება მომდევნო დონეებზე და ამას მოწმობს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც: B2 და B2+ დონეებზე სიტყვების გამეორების მაჩვენებელი შედარებით მაღალია. მეთოდოლოგიურად, ეს როგორც ჩანს, გათვლილია ცოდნის არა რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ გაღრმავებაზე: მოსწავლეებს ამ ეტაპზე ნაკლებად მოეწოდებათ ახალი სიტყვები და ისინი ორიენტირებულნი არიან არა ახალი სიტყვების დასწავლაზე, არამედ უკვე განვლილი მასალის საფუძველზე მიღებული ცოდნის გააქტიურებით უფრო ღრმა და შინაარსიანი ცოდნის განმტკიცებაზე. ისინი უფრო მეტად არიან მოწადინებულნი, კონკრეტული ტექსტების კითხვისას, ამოიცნონ უკვე ნაცნობი სიტყვები და ამ გზით მეტი კონცენტრირება მოახდინონ ტექსტის ღრმა გაგებაზე და ამგვარად მიაღწიონ ახალ გაუმჯობესებულ დონეს ენის დასწავლის ხარისხის თვალსაზრისით.

**ლობჯანიძე ივლიტა, ქიტიაშვილი თეა**  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

**ფრაზეოლოგიური ლექსიკონების მნიშვნელობა და მათი გამოყენება ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის სწავლებაში**

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს შემსწავლელთათვის ქართული ფრაზეოლოგიზმების გაგება/გააზრებისა და ადეკვატურად გამოყენების საკითხი.

ეს სირთულე თავს იჩენს ენის სწავლების თითქმის ყველა დონეზე, მაგრამ დონეების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო რთულდება ენის შემსწავლელისთვის ამა თუ იმ მყარი შესიტყვების მნიშვნელობის გაგება, ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა მაშინ, როდესაც ენის შემსწავლელს დამოუკიდებლად უწევს ამა თუ იმ სირთულის ტექსტის გაგება-გააზრება, თუნდაც შედარებით მარტივი მხატვრული ლიტერატურის გაგება.

ენის ფლობის დაბალ დონეზე ფრაზეოლოგია ხშირად ასოცირდება კოლოკაციებთან ან პრაგმატულად და კომუნიკაციურად სასარგებლო ფრაზებთან, როგორცაა: „როგორ ხარ?“,

„სასიამოვნოა შენი გაცნობა“ ან „როგორი ამინდია დღეს?“. ხოლო შედარებით მაღალ საფეხურზე შემოდის ისეთი მყარი შესიტყვებები, როგორცაა: გული გაუსკდა, ხელი შეუწყო და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტ სირთულეს აწყდებიან ენის შემსწავლეები ენის ფლობის A2-B1-B2 დონეებზე. იმ შემთხვევაში, თუ იდიომატური ფრაზები სასწავლო მასალაშია მოცემული და შესაბამისად, მეთოდურად არის დამუშავებული ამა თუ იმ ფრაზის გაგება-გააზრების საკითხი, ბუნებრივია, ენის შემსწავლელს უადვილდება გაგება-გააზრება. მაგრამ თუ დამოუკიდებლად უწევს ენის შემსწავლელს ამ სირთულესთან გამკლავება, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ ლექსიკონების იმედად დარჩეს და ისმის კითხვა: რომელი და როგორი ტიპის ლექსიკონების გამოყენება გაუადვილებთ ენის შემსწავლეებს ამა თუ იმ ფრაზის გაგებას?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სხვადასხვა ლექსიკონზე მუშაობა მიმდინარეობს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, აღარაფერს ვამბობთ მათი ონლაინ სახით არსებობაზე, რაც ვფიქრობთ, ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, რათა საქართველოში მცხოვრებ არაქართულენოვან მოსწავლეებს ქართულის სწავლა გაუადვილდეთ სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე

ენისა და ინტეგრაციის პროგრამის პედაგოგებმა თ. ქიტოშვილმა და ი. ლობჯანიძემ სამუშაო ჯგუფთან და უნილაბთან თანამშრომლობით ა. ასათიანის ხელმძღვანელობით დაიწყეს მუშაობა ქართულ-აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ციფრული ვერსიის შექმნაზე.

მოხსენებაში განხილულია ფრაზეოლოგიზმების სწავლების მნიშვნელობა მეორე/უცხო ენის სწავლებაში, განსაკუთრებით ქართულის როგორც მეორე ენის შემთხვევაში.

როგორ უნდა მიაწოდოს პედაგოგმა ენის შემსწავლელს ესა თუ ის ფრაზა, რა სათანადო მეთოდური ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს ისე, რომ არ იყოს ფრაზების გაგება შემსწავლელისთვის დაუძლეველი სირთულე და ამავე დროს არ დაეკარგოს მოტივაცია. ნაშრომში განხილულია ასევე რამდენად მნიშვნელოვანია ლექსიკონების, მათ შორის ფრაზეოლოგიური ლექსიკონების გამოყენება მეორე/უცხო ენის სწავლებაში. რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს მსგავსი ტიპის ლექსიკონები, რათა მეტნაკლებად გამართული იყოს როგორც ლექსიკოლოგიური, ასევე პრაგმატული თვალსაზრისით.

## **მახარობლიძე თამარ**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქართული ჟესტური ენის რიცხვითი სახელების სწავლება**

ქართული ჟესტური ენა არის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ენა საქართველოში. მათი რიცხვი დაახლოებით 2 500-ს შეადგენს. სამწუხაროდ, ყრუთა განათლებას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სჭირდება, რადგან არ არსებობს სკოლამდელი დაწესებულება და არ არსებობს შესაბამისი სახელმძღვანელო ყრუ ბავშვებისთვის. ისევე, როგორც ბევრი სხვა ყრუები მსოფლიოში, ადგილობრივი ყრუთა თემიც ორენოვანია - აქვთ ორი მშობლიური ენა: ქართული ჟესტური ენა და სამეტყველო ქართული. ამდენად, ისინი იმედოვნებენ, რომ სკოლებში ორენოვანი განათლება ექნებათ.

ჟესტურ ენებში რიცხვითი სახელების მონაცემების უმეტესობა ლექსიკურად ემთხვევა სხვა ენების შესაბამის მასალას და ეს ძალიან აადვილებს კომუნიკაციას. სინამდვილეში, ეს ფაქტი მათემატიკურ ენას უნივერსალურს ხდის. რიცხვითი სახელი ყველაზე ფართოდ დადასტურებულ ენობრივ სტრუქტურებს შორისაა.

სამეტყველო ქართულისა და ქართული ჟესტური ენის თვლის სისტემებს შორის განსხვავება გულდასმით უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოში ყრუ ბავშვებისთვის რაოდენობითი და შემდეგ - რიგობითი რიცხვითი სახელების სწავლებისას. სალაპარაკო და ჟესტების ენებს შორის რიცხვების სწავლებისას ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდეგ გარემოებაში: მოლაპარაკე ბავშვებმა უნდა დააკავშირონ ციფრები სიტყვებთან, ხოლო ყრუ და სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა უნდა იმუშაონ რიცხვებთან სამი კონცეფციით: სიტყვები - ციფრები - ჟესტები.

ჩვენ შევამოწმეთ რიცხვების ცოდნის დონე DHH ბავშვებს შორის თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულთა სპეციალიზებულ სკოლაში და თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში, სადაც არის ინკლუზიური განათლების პროგრამა. შედეგებმა აჩვენა, რომ რიცხვების სწავლების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია სწორი თარგმანი, ასევე - რიცხვების სამგანზომილებიანი სისტემის ორენოვანი სწავლება, რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმომქმნელი ჟესტური აფიქსების სისტემის ახსნა. წარმატებული სასწავლო პროცესის შემთხვევაში, ადგილობრივ ყრუ ბავშვებს შეეძლებათ უჩვენონ სწორი ჟესტები ნებისმიერი ტიპის ციფრებისთვის, ასევე, წაიკითხონ და გაიგონ სიტყვებით დაწერილი ციფრები.

## **მსხვილიძე იამზე**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

## **ჯინჭარაძე ლელა**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

## **ტაბატაძე სოფიო**

*ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტუვა*

### **არაფორმალური განათლების როლი და მნიშვნელობა ქართული, როგორც მეორე ენის შესწავლისას**

სახელმწიფო აფინანსებს მრავალ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთა შორისაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ენობრივი ბარიერის მქონე ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომელთა მიზანია, ეთნიკურ უმცირესობებში საკომუნიკაციო ენის ცოდნის გაუმჯობესება, აღნიშნული მოსახლეობის ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში, მათთვის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრისა და საქართველოს მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, თუმცა ამ პროცესში არის ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი: სოციალურ-გეოგრაფიული გარემო, ქართულ ენაზე საინფორმაციო -საკომუნიკაციო საშუალებების არარსებობა, ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაკლებობა და სხვ.

აღნიშნული პრობლემები მძაფრად იჩენენ თავს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში, ვინაიდან მათ თან ემატება ეთნოიზოლაცია, რაც განპირობებულია სახელმწიფო ენის არცოდნით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ზეგავლენით, კულტურათა იზოლაციითა და სხვა ფაქტორებით. 2001 წლიდან დაიძრა ყინული და ამ რეგიონებში ამოქმედდა არაერთი პროგრამა, რომელმაც მკვეთრად შეცვალა როგორც სოციალურ-კულტურული, ასევე სახელმწიფო ენის სწავლების მიმართ დამოკიდებულება. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დატვირთვა მიიღო არაფორმალური განათლების ხელშეწყობამ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

რას გულისხმობს არაფორმალური განათლება და რატომ არის მნიშვნელოვანი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, როგორ გამოიკვეთება არაფორმალური განათლების უპირატესობა მოსწავლეთა სწავლა-სწავლისა მეთოდის, ასევე, სხვადასხვა უნარის განვითარებაში, რა შედეგს გვაძლევს ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების როლის გაზრდა ჩვენს სამიზნე სკოლებში, რამდენად სახალისო და საინტერესო შეიძლება გახდეს სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი, თუკი ფორმალური და არაფორმალური განათლების ინსტრუმენტები ერთდროულად და ჰარმონიულად ამოქმედდება და როგორ შეიძლება ამგვარი მიდგომებით სასურველი მიზნის მიღწევა, როგორ უწყობს ხელს არაფორმალური განათლება მოსწავლეებში საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებას - ეს საკითხების ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც განხილული იქნება ჩვენს მოხსენებაში.

## **მუსტაფაევა ზულფია**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

### **აზერბაიჯანულენოვან საჯარო სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გაძლიერება/ხელშეწყობა არაფორმალური განათლების დანერგვის გზით**

სოფელ თაქალოს აზერბაიჯანულენოვან საჯარო სკოლაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული

უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“, არაფორმალური განათლების დანერგვა ქართული ენის ფლობის დონის ამაღლებას უწყობს ხელს. გამოყენებული მეთოდი - „პროექტებით სწავლება“ - ითხოვს სხვადასხვა საგნის ინტეგრაციას. საგანთა ინტეგრაცია უფრო საინტერესოს ხდის მიმდინარე პროცესს და ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს.

„პროექტებით სწავლების“ ძირითადი სტრატეგია ჯგუფებში მუშაობაა. ჯგუფური საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობას და არა კონკურენციას. თანამშრომლობით გარემოში მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებებს და ქართულად საუბრის დროს შეცდომების დაშვებისა არ ეშინიათ. ქართული ენის მასწავლებლის თანამშრომლობა მოსწავლეებთან და სხვა საგნის მასწავლებლებთან ხელს უწყობს საგნის სპეციფიკის გაგებას და მის არსში წვდომას ქართულად. პროექტებით სწავლება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, პასუხიმგებლობას და ჩართულობას.

## ნანობაშვილი მარიამ

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### ზმნის ასპექტის სწავლებისათვის არაბულში

ზმნის ასპექტის კატეგორია სემიტურ ენებში დღემდე დისკუსიის საგანია. ამ საკითხთან დაკავშირებული თეორიული კვალიფიკაციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც გარკვეულწილად ლინგვოდიდაქტიკაშიც აისახება. ტრადიციისამებრ, სემიტური ზმნის პერფექტივი და იმპერფექტივი გააზრებული იყო, როგორც ასპექტის ფორმები, თუმცა არსებობდა ის მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ფორმები დროის კატეგორიასაც გამოხატავდა.

როგორც სემიტურ ენათა შესწავლის შესავლის (ბაკალავრიატში), ასევე სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის კურსში (მაგისტრატურაში) საკმაოდ ვრცელ დისკუსიას ვუთმობთ ზმნის ასპექტის კატეგორიას, რაც უფრო მეტად სწორედ თეორეტიზაციის ფარგლებში ხდება. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ არაბული (და ნებისმიერი სემიტური) ენის სწავლებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი პერფექტივისა და იმპერფექტივის ფორმებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული არაერთი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება.

ვინაიდან პერფექტივისა და იმპერფექტივის უღლებას სტუდენტები პირველივე კურსზე ეუფლებიან, თავიდანვე აუცილებელი ხდება ზემოთ აღნიშნული რთული და სადავო საკითხის შესახებ მათთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება. თვით არაბულ გრამატიკულ ტრადიციაში პერფექტივს ეწოდება *al-Mādi*, რაც „წარსულს“ ნიშნავს. ეს ამჟღავნებს, რომ პერფექტივის ფორმა ნამდვილად არ არის დაცლილი დროის შინაარსისაგან. მართლაც, მარტივ (და არა რთულ, შედგენილ) დროში ეს ცალკე აღებული ფორმა პრაქტიკულად ყოველთვის წარსულს გამოხატავს. რაც შეეხება შედგენილ დროებს, იქ პერფექტივმა შეიძლება მომავალი დროც გამოხატოს, ოღონდ დამხმარე ზმნასთან კავშირში. ბოლო ხანებში სტუდენტთა უმეტესობა ევროპულ ენათაგან ინგლისურს შეისწავლის, ამიტომაც ეფექტურია პარალელის გავლება სწორედ ამ ენის სრულ დროებთან (Perfect Tenses), მაგალითად, *yakūnu qad fa'ala* (არაბ.) – *He will have done* (ინგლ.).

ანალოგიური ვითარებაა იმპერფექტივთან მიმართებითაც; კერძოდ, ცალკე აღებული ფორმა აწმყოს ან მომავალს გამოხატავს, ხოლო შედგენილ დროებში ის წარსულსაც გვიჩვენებს, ოღონდ აუცილებლად დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავს, მაგალითად, *kāna yaf'alu* (არაბ.) – *He was doing* (ინგლ.).

აღნიშნული საკითხების სრულყოფილად ასახსნელად ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ, სტუდენტებს თავიდანვე (პირველივე სემესტრში) შევასწავლოთ „ყოფნა“ (არაბ. *kāna*) ზმნის უღლება მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ე. წ. „ცარიელი“ ზმნა, რომლის მეორე ძირეული თანხმობანი სუსტია. ზოგიერთ სახელმძღვანელოში ამგვარი ზმნების უღლება საკმაოდ გვიანდელ ეტაპზეა შემოტანილი, რაც, ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული.



ბაკალავრიატის მესამე და მეოთხე კურსზე, ასევე მაგისტრატურაში პერფექტივისა და იმპერფექტივის გამოყენების არეალზე სტუდენტებს წარმოდგენას უქმნის უკვე საკმაოდ რთული ტექსტების თარგმნა და ანალიზი სხვადასხვა სფეროში, მათ შორის – მხატვრულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია ისიც, რომ არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობებისა (ბაკალავრიატში) და ქრისტიანული არაბული ლიტერატურის (მაგისტრატურაში) კურსების გავლისას ისინი კითხულობენ ნაწყვეტებს ქრისტიანული არაბული ტექსტებიდან, რომელთა დიდი ნაწილი თარგმნილია ბერძნულიდან და სირიულიდან. მეტიც, ჰაგიოგრაფიული თხზულებების საკმაოდ დიდი კორპუსი თარგმნილია არაბულიდან ქართულად. პარალელური ვერსიების შედარება, იმის წარმოჩენა, თუ ბერძნული და სირიული ორიგინალის რა ფორმებს შეესაბამება არაბულის პერფექტივი თუ იმპერფექტივი, აგრეთვე ამ უკანასკნელთა გადმოტანა როგორ ხდებოდა ქართულში, უფრო ნათელს ხდის, როგორია მათი გამოყენების თავისებურება.

ამრიგად, არაბული ზმნის ასპექტის კატეგორიის შესწავლისას ჩვენ თანაბრად ვითვალისწინებთ სემიტოლოგიაში არსებულ თეორიულ კვალიფიკაციებს, პრაქტიკული, სასწავლო გრამატიკის დონეზე გამოკვეთილ ნიუანსებსა და ენობრივ პარალელებს როგორც თანამედროვე ენებთან მიმართებაში, ასევე შუა საუკუნეების პერიოდის თარგმანებში. განსაკუთრებით წარმატებულ სტუდენტებს კი აღნიშნული თემატიკა ეძლევათ საკვლევად საკონფერენციო მოხსენებების, ასევე საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომების სახით.

## **ნინიძე თამარ**

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ენობრივი ეტიკის ფორმების სწავლება არაქართულენოვანთათვის (1+4 პროგრამის ფარგლებში)**

არაქართულენოვანთათვის ქართული ენის სწავლებისას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში ადაპტაციისათვის მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების გაცნობა, როგორცაა ეტიკეტური ფორმები, რომელთა არსებობასაც ენაში განაპირობებს კულტურა, ტრადიცია, ტაბუ და სხვა ფაქტორები. იმისათვის, რომ არ წარმოიქმნას გაგებინების პრობლემა რეალური კომუნიკაციისას, შემსწავლელმა უნდა იცოდეს აღნიშნული ენობრივი ერთეულების მნიშვნელობა და საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისად გამოყენება.

ნაშრომის მიზანია სპეციალისტებს გააცნოს სხვადასხვა მეთოდები და ხერხები, რომელთა საშუალებითაც შემსწავლელს გაუადვილდება ეტიკეტური ენობრივი ერთეულების შესწავლა-გააზრება და მათი გამოყენება შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციაში, ასევე, განსაზღვროს, ენის ფლობის კონკრეტული დონისათვის ეტიკეტურ ერთეულთა რომელი სეგმენტის ცოდნაა სასურველი.

კვლევისას გამოყენებულია სიტუაციური ანალიზისა და უშუალო დაკვირვების მეთოდი.

მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ენის შესწავლის სხვადასხვა დონეზე აუცილებელია განსაზღვრული ეტიკეტური სიტყვებისა და ფრაზების (მაგ., მიმართვის ფორმები, კავშირებითი კილო, ეტიკეტური შორისდებულები, ე. წ. „მაკომპენსირებელი სიტყვები და ფრაზები“...) გაცნობა, რათა მოსაუბრემ წარმატებით შეძლოს ადაპტაცია რეალურ საკომუნიკაციო გარემოში.

ენის შესწავლა წარმოდგენილია სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, საზოგადოების კულტურის განუყოფელ ნაწილს კი წარმოადგენს ეტიკეტი, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ენაში ვლინდება.

არაქართულენოვანთათვის ქართული ენის სწავლებისას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში ადაპტაციისათვის მნიშვნელოვანია ენობრივი ეტიკის გამომხატველი ფორმების - ევფემიზმების/თავაზიანი გამონათქვამების გათვალისწინება, რომლებიც ქართულში მრავლად

მოგვეპოვება.

ეტიკეტის გამოხატვის საშუალებათაგან სწავლებისას, ვფიქრობთ, ენის შემსწავლელმა პირველ რიგში უნდა გაიაზროს ის, რომ ქართულ ენაში მეტყველების ევფემისტურობა სხვადასხვაგვარად რეალიზდება: გრამატიკული მორფემით, სინტაქსური საშუალებებით, ლექსიკური შენაცვლებითა და ინტონაციით.

ენობრივი კომპეტენციის ადრეულ საფეხურზე (A1-A2) შემსწავლელმა უნდა იცოდეს **თქვენ** ნაცვალსახელისა და **-თ** მრავლობითობის გამომხატველი ბოლოსართის მეორე ფუნქციის (შენ ხარ - თქვენ ხართ (თავაზ.), ასევე ზმნურ მონაცვლე ფორმათა (ბრძანდებით, დაბრძანდით, მობრძანდით, მიირთვით...) შესახებ.

ენის შესწავლის შემდგომ საფეხურებზე (B1-B2) ეტაპობრივად გადავდივართ ლექსიკური სახის შენაცვლებაზე და ვაცნობთ მას ქართულ ენაში არსებულ ზმნურ ევფემიზმთა (თქმა-ბრძანება, მოხსენება და ა.შ. მაგ., ოფიციალური დოკუმენტების შედგენისას საჭირო ფრაზებში: მოგახსენებთ, რომ...) მიცემა-ბოძება, მოტანა-მორთმევა, ხლება...). მრავალფეროვნებას, რომელთა გაჩენაც სხვადასხვა მოტივითაა შეპირობებული სავარჯიშოებისა და შესაბამისი ადაპტირებული ტექსტების განხილვის შედეგად შემსწავლელს უნდა შეეძლოს გამოიყენოს სახელური (ადამიანის სხეულის ნაწილებთან, ყოფაქცევასთან, ფიზიკურ, გონებრივ ნაკლთან, ავადმყოფობასთან დაკავშირებული) შენაცვლებანი.

ენის შემსწავლელმა, ასევე, უნდა იცოდეს, რომ სიტყვის/წინადადების წარმოთქმის მანერას ანუ ინტონაციას გააჩნია სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია: ეტიკეტური ფორმა, რომელსაც განსხვავებული ინტონაციით წარმოთქვამენ, შეიძლება შეიცავდეს არა თავაზიანობის, არამედ ირონიისა და დაცინვის ნიუანსებს (მაგ.: კარგად ვიცი, რა ვაჟკაციც ბრძანდება!).

B2 დონის შემსწავლელს უნდა შეეძლოს სინტაქსური ფორმების აღქმა, როცა: ა) ევფემისტურობას გამოხატავს წინადადება; ბ) ევფემისტურობას გამოხატავს შესიტყვება (მაგ., მიმართვის ფორმები, კავშირებითი კილო, ეტიკეტური შორისდებულები, ტექსტის ასაგებად გამოყენებული ე. წ. „მაკომპენსირებელი სიტყვები და ფრაზები“...

მოხსენებაში განხილული იქნება აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა სწავლების მეთოდები როგორც უკვე არსებულ, ასევე ახალი რესურსებისა და საშუალებების გამოყენებით.

## ოქროსცვარიძე ნინო

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### ეთნოლოგია უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში

თანამედროვე სამყაროში, ენის სწავლა/სწავლების უამრავი (არა)ტრადიციული თუ თანამედროვე მეთოდი არსებობს. თუმცა ენის უკეთ დაუფლების ერთ-ერთ საშუალებად ეთნოლოგია მიგვაჩნია. ეთნოლოგია არის სამეცნიერო-კვლევითი დისციპლინა რა დროსაც მკვლევარი ცდილობს კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფში მიმდინარე პროცესები აღწეროს, შეისწავლოს და გაუკეთოს ანალიზი. თუმცა იგი არამხოლოდ ეთნოსის კვლევას გულისხმობს, არამედ უცხო ენის სწავლა/სწავლების თვალსაზრისით წარმოადგენს ხიდს, რომელიც აკავშირებს პიროვნებას იმ გარემოსთან, რომლის ენასაც ეუფლება, ეხმარება მას უკეთ შეიმეცნოს ენა/კულტურა იმ საზღვრებში, რომელშიც არსებობს ესა თუ ის ერი. ენაში, როგორც კულტურის განუყოფელ ნაწილში, დავანებულია კონკრეტული ეთნოფსიქოლოგიური, ეთნოფილოსოფიური ასპექტები, შესაბამისად სწორედ ენის სწავლა/სწავლების პროცესში წინა პლანზე იწევს ეთნოლოგიის გამოყენების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიქცევით და ვაქცევთ ფოკუსს ჯგუფის წარმომადგენლებს დამკვირვებელ ეთნოლოგებად, რომლებიც ენას განიხილავენ, „მოიხმარენ“ და აღიქვამენ არამხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებად, არამედ როგორც ეთნოფსიქოლოგიურ მოვლენად და ეთნოსოციალურ მეხსიერებად. ეთნოსის შიგნით მიმდინარე

პროცესები გავლენას ახდენს ენაზე, შესაძლებელია სიტყვამ დაკარგოს თავისი პირველადი სემანტიკა და შეიძინოს ახალი მნიშვნელობა. არსებული ფრაზეოლოგიზმები, მყარი სიტყვათშეთანხმებები, ანდაზები და სხვა, კონკრეტული ეთნოსის ნააზრევს წარმოადგენს, რომელიც თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში გადაეცემოდა. შესაბამისად, ეთნოლოგია საშუალებას აძლევს ენის შემსწავლელს უკეთ დაეუფლოს და გაიაზროს შესასწავლი ენის სოციო-კულტურული და ლინგვისტური ასპექტები, ასევე ენის მორფო სინტაქსი.

ჩვენი თემის ძირითადი აქცენტები გადატანილი იქნება თურქული ენის სწავლების პროცესში, დამხმარე დისციპლინად ეთნოლოგიის გამოყენების მნიშვნელობაზე. შევეხებით იმ სირთულეებს, რომლებსაც ენის შემსწავლელი წააწყდება შესასწავლი ენის ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტების სწავლისას, კერძოდ „Türkiyeli Gürcü“ (თურქეთელი ქართველი) ანდა „Türkiye`de yaşayan Gürcü“ (თურქეთში მცხოვრები ქართველი)

ჩვენი მიზანია, ენის შემსწავლელი ვაქციოთ დამკვირვებელ ეთნოლოგად, ამ მიმართულებით გავუღრმავოთ ცოდნა და უნარები, რათა თავად შეძლოს ენაში, როგორც ცოცხალ ორგანიზმში არსებულ ცვლილებებს თავად დააკვირდეს და ანალიზის საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები. ამ პროცესში მნიშვნელობას ვანიჭებთ კიბერეთნოგრაფიას, რომლის დახმარებით ვცდილობთ ყოველდღიურ რეჟიმში, სოცსივრცეში (წინასწარ შერჩეულ ჯგუფებში) თვალყური ვადევნოთ ენაში მიმდინარე ცვლილებებს, ამათუ იმ სიტყვისა და ტერმინის გამოყენების მიზეზებს, კოდების გადართვებსა და ფორმებს. თუ ეთნოლოგია, მისი ტრადიციული გაგებით, კონკრეტული ჯგუფის კვლევის პროცესში მოითხოვს პიროვნების უშუალო, ფიზიკურ ჩართულობას, კიბერეთნოგრაფია საშუალებას გვაძლევს, დროსა და ვირტუალურ სივრცეში დავაკვირდეთ ენობრივ პროცესებს, რაც ენის უკეთ სწავლება/სწავლაში გვეხმარება. შესაბამისად, ენის შემსწავლელს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, გახდეს კიბერეთნოგრაფიც.

## **იზაბელა პეტრიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ონლაინ სწავლა-სწავლება მულტიკულტურულ გარემოში**

ონლაინ სწავლა-სწავლება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიამ, რომელმაც მრავალი მიმართულებით გამოავლინა ონლაინ სწავლების გამოწვევებიც და უპირატესობებიც. სტატიაში წარმოდგენილია შემთხვევის შესწავლა, რომელიც ეხება პანდემიის პერიოდში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პედაგოგიკის“ საბაკალავრო პროგრამის ინგლისური ენის სწავლების მეთოდის კურსის ფარგლებში ერთერთი თემის - კულტურის სწავლება ინგლისური ენის გაკვეთილზე - ონლაინ სწავლების ანალიზს მულტიკულტურულ გარემოში. ისმის კითხვა - რა განსხვავებაა, თუკი საერთოდ არის განსხვავება, სწავლა-სწავლებისას მულტიკულტურალიზმის კუთხით ფიზიკურ გარემოსა და ონლაინ გარემოს შორის? კვლევა ჩატარებულია ონლაინ სწავლების ორი სემესტრის და ფიზიკურად/პირისპირ სწავლების ორი სემესტრის მანძილზე. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა მრავალეთნიკური სტუდენტთა ჯგუფები (ძირითადად, ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები). კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა: სასწავლო პროცესზე დაკვირვება და სტუდენტთა გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მულტიკულტურულ გარემოში სწავლა-სწავლებისას, მიუხედავად ონლაინ ფორმატის შეზღუდვებისა, სტუდენტები უპირატესობას სწორედ ონლაინ სწავლა-სწავლებას ანიჭებენ. ონლაინ სწავლების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობებს შორის, სტუდენტები აღნიშნავენ სხვადასხვა ციფრული საგანმანათლებლო ინსტრუმენტების სწავლისა და

გამოყენების შესაძლებლობას.

## პოპიაშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### საბჭოთა იდენტობის ფორმირების ენობრივი ასპექტები საბჭოთა კავშირში და ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხი

საბჭოთა იდეოლოგიის ფუნდამენტური ნაწილი იყო განათლების გზით იდენტობის ფორმირება, საბჭოთა ადამიანის აღზრდა, რომელშიც დიდ როლს ასრულებდა რუსული ენა. საბჭოთა კავშირში ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მახასიათებლები, როგორებიც არის: ნაციონალური ენა, ისტორია, ლიტერატურა, რელიგია, სრულად იყო იგნორირებული.

ენობრივი პოლიტიკა მიმდინარეობდა იდეოლოგიისა და პროპაგანდის დახმარებით, რაც გულისხმობდა:

- ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში რუსულენოვან საქმისწარმოებას;
- ოფიციალური ღონისძიებების, მათ შორის, ადმინისტრაციული და პარტიული ღონისძიებების, სხდომების, შეკრებების, რუსულ ენაზე ჩატარებას;
- რუსული ენის სავალდებულო სწავლებას სკოლებსა და უნივერსიტეტებში;
- რუსულენოვანი განათლების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას;
- ნაციონალურ ენებზე განათლების ხელის შეშლას აფხაზური, ოსური და სხვა ენების მაგალითზე;
- რუსულენოვანი მოსახლეობისათვის საგანგებო პირობების შექმნას რუსულ ენაზე;
- ცენტრალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების პირობებში, რუსულენოვანი სახელმძღვანელოების შემუშავებას სხვადასხვა სასკოლო საგანში და მის პოპულარიზაციას, აუცილებლობის შემთხვევაში, თარგმნას და არა ნაციონალურ ენებზე შემუშავებას;
- სამეცნიერო ენად რუსული ენის აღიარებას;
- რუსულენოვანი მედიის შექმნას და პოპულარიზაციას: რუსულენოვანი გაზეთები, ტელევიზიები და ტელეგადაცემები;
- რუსულენოვანი ფილმების შექმნას, უცხოური ფილმების რუსულ ენაზე თარგმნას;
- პოლიტიკურ ცენტრზე, მოსკოვზე და რუსულენოვან სივრცეზე სრულ დაქვემდებარებას, რაც გულისხმობდა რუსულ ენაზე სრულ დამოკიდებულებას ყველა სფეროში, პირველ რიგში, განათლებასა და კულტურაში, ასევე, ყველა სხვა სფეროში: სამხედრო, სამოქალაქო, სოფლის მეურნეობა და სხვ.

ეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ტენდენცია კი იწვევდა რუსულ ენობრივ სივრცესთან ინტეგრაციის საჭიროებას, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობებისათვის.

საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხების შესწავლა დაეყავით ორ ეტაპად: მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლები და მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლები. კვლევისათვის საანალიზოდ ავიღეთ აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები და საბჭოთა იდენტობის ფორმირების ენობრივი ასპექტები. მოხსენებაში ვისაუბრებთ კვლევის შედეგებზე, ყურადღებას გავამახვილებთ ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის საკითხებსა და საბჭოთა იდენტობის ფორმირებაზე.

ჟორჟოლიანი ანა,

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გამოწვევები სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში

საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესი ინტეგრაციის პოლიტიკის პირველად პრიორიტეტად არის მიჩნეული. ეთნიკური უმცირესობების მიმართ დაგეგმილი ენობრივი პოლიტიკა მოიცავს არაქართულენოვანი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებასა და პოპულარიზაციას ეფექტური ინტეგრაციის მიზნით. არადომინანტი ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმწიფო ენის ხელმისაწვდომობის გაფართოება და მათი სრული სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსაც. იგივე მისწრაფება არის გაცხადებული „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც სწავლების ენად ქართულ ენას ადგენს, რამაც უნდა უზრუნველყოს არაქართულენოვანი ბავშვებისათვის სახელმწიფო ენაზე საკომუნიკაციო და სასკოლო სწავლებისათვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების შეძენა. დეკლარირებული პრიორიტეტი უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმც ასევე გასათვალისწინებელია ეფექტური გზების ძიების პროცესი, მიზნების მიღწევისათვის. არადომინანტი ეთნიკური ჯგუფებისათვის ინტეგრაციის ხელშეწყობა, გრძელვადიან პერსპექტივაში, საჭიროებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში ინკლუზიური ენობრივი საგანმანათლებლო სივრცის გაძლიერებას, როგორც დომინანტი, ასევე უმცირესობათა ჯგუფებისათვის.

მიზანი: სასკოლო მზაობის პროგრამასთან მიმართებაში სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობი ფაქტორების შესწავლა თანასწორობის, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით.

კვლევის მეთოდები: სამაგიდო კვლევა

სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლება უკავშირდება გარკვეულ გამოწვევებს, როგორცაა: ენობრივი ბარიერი ბავშვებსა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს შორის; საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსების სიმწირე; სკოლამდელ ასაკზე ფოკუსით ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული გადამზადების პროფესიული კურსების ნაკლებობა; არაქართულენოვან მოსწავლეთა შედეგების შეფასებისა და პროგრესის მონიტორინგი. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება სასკოლო მზაობის პროგრამისა და სხვა დამხმარე მასალების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის, რასაც, ხშირ შემთხვევაში, აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის სახელმწიფო ენის ცოდნის არასაკმარისი დონეც ერთვის და, შესაბამისად, ვერ ხორციელდება ენობრივი მოდელირება და ენის განვითარების ხელშეწყობა შინაარსობრივი საუბრების, თხრობის უნარებისა და ლექსიკის განვითარების მიმართულებით. უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში დადასტურებულია სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში დატოვების შემთხვევები ქართული ენის არ ცოდნის მიზეზით (ბარქაია, ცინცაძე, & კეშელავა, 2022). ამასთანავე, ინკლუზიური მიდგომა საჭიროებს ყველა მხარის ღიაობასა და მზაობის მყარი გარანტიების საფუძვლების შექმნას. სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მოდელირების კრიტიკულ საფუძველს ინკლუზიის ძლიერი კულტურის განვითარებისათვის. შესაბამისად, სასურველია დომინანტი ეთნიკური ჯგუფისათვის შეთავაზებული სასკოლო მზაობის პროგრამების ფარგლებში გაძლიერდეს ენობრივი ინკლუზიის მიმართულებით აქცენტები ქვეყნის ადგილობრივ კონტექსტზე მორგებით, შესაბამისი

სტრატეგიებისა და ტექნიკების შეთავაზებით.

ყოველივე ზემოთქმული მოითხოვს დაინტერესებული მხარეების აქტიურ თანამშრომლობას, უპირველესად კი თემზე ორიენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევებზე დაფუძნებულ საჭიროებების ანალიზს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიის მიმართულებით მტკიცებულებაზე დამყარებული ეფექტიანი პოლიტიკა.

## **რუსიეშილი-კარტლელი მანანა, დოლიძე რუსუდან**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **წაკითხულის გააზრების უნარის განვითარების შესახებ (საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოს მაგალითზე)**

წაკითხულის გააზრების უნარის განვითარება წარმოადგენს ენის სწავლისა და სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ამ უნარის განვითარების შესახებ მსჯელობისას, აკადემიურ ლიტერატურაში მოიხმობენ ორ ძირითად ცნებას: კითხვის დროს, ტექსტის აღქმისას გამოყენებული სტრატეგიები და კითხვის უნარები. აფლერბახის და სხვ. (2008: 364-373) მიხედვით, „კითხვის სტრატეგია“ გულისხმობს მიზანმიმართულ მცდელობას, ასწავლოს სტუდენტს ტექსტის აღქმისა და დეკოდირებისთვის აუცილებელი სტრატეგიები, სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის გამოცნობა და, ამავე დროს, მისცეს მას ცოდნა ტექსტის აგებულების, მისი კოჰეზიისა და კოჰერენტულობის შესახებ. ამრიგად, სტუდენტი აცნობიერებს, თუ როგორ იგება ტექსტი და რა შინაგანი თუ გარეგანი ბმები არსებობს მასში. მეორეს მხრივ, „კითხვის უნარები“ განისაზღვრება, როგორც ავტომატური ქმედებების ერთობლიობა, რომელიც სტუდენტს ეხმარება იოლად და ეფექტიანად გაშიფროს ტექსტი და გაიაზროს მისი მნიშვნელობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში იგულისხმება ტექსტის გაგების პრაქტიკული უნარი და არა ტექსტის კომპონენტების ან მისი თანმიმდევრულობისა და თანმიმდევრულობის გაცნობიერება. აქვე გვინდა დავძინოთ, ორივე ცნება ერთმანეთთან არის დაკავშირებული და მათი ერთობა განაპირობებს ტექსტის წარმატებულ აღქმასა და გააზრებას.

მოხსენების მიზანია, კითხვის ჩვევების ფუნდამენტური მიდგომების გაანალიზების საფუძველზე და ქართველი სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით, მსმენელს გავუზიაროთ კითხვის უნარების განვითარების სახელმძღვანელოს შექმნის გამოცდილება. სახელმძღვანელო, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შემსწავლელი სტუდენტებისთვის შეიქმნა, ამჟამად პილოტირების ფაზაშია (Farina & Rusieshvili, 2021). მასში განხილულია ტექსტის გაგებისათვის მნიშვნელოვანი ბევრი საკითხი. ტექსტის სტრუქტურისა და შედგენილობის, მისი კოჰეზიისა და კოჰერენტულობის პრობლემების გარდა, სტუდენტი შეისწავლის სტრატეგიებს, რომლებიც მას ტექსტის გაშიფვრაში დაეხმარება.

## **სადინამე რუსუდან**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### **ლექსიკური მრავალფეროვნება – ენის სწავლა / სწავლების საფუძველი (ხერხები და მეთოდები)**

ნებისმიერი მეტყველი ინდივიდი ერთი ან რამდენიმე ენის მატარებელი არსებაა. როგორც ცნობილია, ადამიანში დაბადებიდანვე არის ჩადებული ლინგვისტური კოდი, ანუ იგი იმთავითვე არის „დაპროგრამებული“ მშობლიური ენის კოდით, რომლის ბუნებრივად რეალიზებაც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო.

ვგულისხმობთ „ენის ადგმას“ ანუ ამეტყველებას მშობლიურ ენაზე. ყველა შემთხვევაში ენის შემსწავლელი აღმოჩნდება ენის სისტემის წინაშე. თუ ეს სისტემა მისთვის გენეტიკურია, სამეტყველო კოდთა გადართვა გაცილებით ადვილად ხდება და აღდგება, გაცოცხლდება ბუნებრივი ლინგვისტური გენეტიკური კოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში ენის შემსწავლელი იწყებს მისთვის უცხო ენობრივი სისტემის გაცნობასა და შესწავლას.

ენა, როგორც სისტემა, ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის ერთიანობაა. ნებისმიერ აფიქსიან ენაში არსებული ლექსიკა, სიტყვები გაწყობილია ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების შესაბამისად. ამდენად, ენის დაუფლებისთვის გრამატიკის ცოდნა მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ლექსიკური მრავალფეროვნება ენის სწავლა / სწავლების საფუძველია და ახალი ენის შესწავლის დასაწყის ეტაპზე სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ხოლო გრამატიკის საკითხები თანდათან, ეტაპობრივად უნდა მიეწოდოს თავდაპირველად პრაგმატული მიზნით, ელემენტარული, კომუნიკაციური გრამატიკის დონეზე.

ლექსიკურ საშუალებათა მიზანმიმართულ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, კერძოდ, იმისათვის, რომ ენის შემსწავლელმა შესასწავლი ენა არ აღიქვას, როგორც მისთვის სრულიად უცხო, რთული და არ გაჩნდეს ბარიერი, რომლის დაძლევაც შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს. ბარიერის გაჩენას შეიძლება მოჰყვეს უცხო ენობრივი სისტემის ჩაკეტვაც. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ქართული ენის ლექსიკის სწავლების ის ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ენის სწავლა / სწავლების პროცესში აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილება.

როგორც უკვე მიღებულია, საწყის ეტაპზე ინტერნაციონალიზმების გაცნობა აადვილებს ენის სწავლების პროცესს. ამასთან, გასათვალისწინებელია ენის შემსწავლელის წარმომავლობაც და ამის მიხედვით საერთო გამოყენების (მაგალითად, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული, არაბული, პოლონური... ენების) ლექსიკაზე მუშაობა. არ გამოვრიცხავთ ბარბარიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასაც.

ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად მაინც ქართული ენის ლექსიკური მრავალფეროვნების გაცნობა გვესახება. ამისთვის შეიძლება მივმართოთ როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ საშუალებებს. ენის შემსწავლელს უნდა მივაწოდოთ სათანადო სავარჯიშოები; ცხრილების, სქემების, ტექსტებისა და ლექსიკონების გამოყენებით უნდა ვაჩვენოთ, ავუხსნათ და შევასწავლოთ ქართული სიტყვაწარმოების ნიმუშები (წარმოქმნილი სიტყვები და კომპოზიტები), აგრეთვე, სინონიმები და ანტონიმები, ევფემისტური სიტყვა-გამოთქმები და ფრაზეოლოგიზმები (მათ შორის, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სიტუაციური ფრაზეოლოგიზმები).

ქართული ენის უძველესი ლექსიკური ფონდი, სიტყვაწარმოების მდიდარი და მრავალფეროვანი საშუალებები შესაძლებელს ხდის ენის სწავლა / სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და ორგანიზებას, რომ ენის შემსწავლელს გაუადვილდეს გარკვეული ლექსიკური მარაგის შექმნა და თავადაც შეძლოს ახალ-ახალი სახელური და ზმნური ლექსიკური ერთეულების წარმოება.

## **სოხაძე ქეთევან**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ქართული წინადადების აგებულების სწავლებისათვის**

ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი უცხო ენის შესწავლის დროს ადამიანი თავისი მშობლიური ენის ნორმებიდან „ხელმძღვანელობს“ და სწორედ მის კლიშეებს იყენებს ახალი ენის ასათვისებლად. ენათმეცნიერთათვის მსგავსი პროცესები „გრამატიკული კალკების“ სახელითაა

ცნობილი და ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს ე.წ. „კალკები“ ქმნიან გარკვეულ ბარიერებს და ანელეზენ შესწავლის პროცესს, დროში გაწელილს ქმნიან მას.

ქართული ენის შესწავლის პროცესში სწორედ ასეთ ერთ-ერთ კალკს განეკუთვნება წინადადების სწორად აგების საკითხი; რადგან ზმნა-შემასმენელია ქართული წინადადების ხერხემალი და ის განსაზღვრავს მთელი წინადადების გამართულობას, ამის გამო სიტყვათა რიგი ჩვენს წინადადებებში თავისუფალია: სადაც არ უნდა დავსვათ ქვემდებარე და დამატებები, ფუნქციები არ შეეცვლება და არც გაუგებრობასთან გვექნება საქმე. ზმნის მრავალპირიანობამ ისიც განსაზღვრა, რომ ქართულ (და საერთოდ, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში) წინადადებაში 4 მთავარი წევრი გვაქვს: შემასმენელი, ქვემდებარე, ირიბი და პირდაპირი დამატება.

ქართული ენის შემსწავლელი ჩვენი მსმენელები ძირითადად ინდოევროპული და ალათაურ-თურქული ოჯახების წარმომადგენლები არიან. ამ ენებში ნომინატიური წყობის წინადადებებია და ამის გამო წინადადებათა აგების მკაცრად განსაზღვრული წესი არსებობს. ქართულისგან განსხვავებით, ზმნები მხოლოდ სუბიექტური პირების გამომხატველები არიან და ამის გამო ქვემდებარეც მარტო სახელობით ბრუნვაში შეეწყობათ. სწორედ ეს არის მათი წინადადებების აგების თავი და თავი, რაც ქვემდებარის აუცილებლად პირველ ადგილზე დასმას გულისხმობს. და აი, რატომ... თუ ამ ენების წინადადებაში სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი არსებობს, მას თუ ქვემდებარის შემდეგ არ დავსვამთ, ანუ მომდევნო ადგილს არ მივუჩენთ, უაზრობას მივიღებთ. ამას აზერბაიჯანული ენის მაგალითზე გიჩვენებთ: Ali var defter (ალის აქვს რვეული). საკმარისია სიტყვა „რვეული“ გადმოვიტანოთ პირველ ადგილზე და უაზრობას ვიღებთ: Defter var Ali, რაც ზუსტი მნიშვნელობით ქართულად იქნება: რვეული არის ალი.

ქართულ ენაში კი ასეთ „გაუგებრობასთან“ არასოდეს გვექნება საქმე, რადგან დიდი კორელატის (ზმნა-შემასმენლის) წყალობით, ქვემდებარესა და პირმიმართ დამატებებს მწკრივებისა და სერიების მიხედვით საკუთარი ბრუნვის ფორმები გააჩნიათ.

ქართულ წინადადებაში სიტყვათა განლაგების რიგი თავისუფალია და მნიშვნელობა არ აქვს ქვემდებარესა და პირმიმართ დამატებებს სად დავსვამთ. მხოლოდ ერთი რამ რეკომენდაციის სახით მაინც შეიძლება გავითვალისწინოთ: ზმნა-შემასმენელი წინადადების ბოლოში უნდა განთავსდეს.

## **ფხაკაპე ნინო**

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **სამედიცინო ტერმინოლოგიის სწავლების საკითხები ქართულის, როგორც უცხო ენის, შემსწავლელთათვის**

დარგობრივი ენის შესწავლა ლინგვისტური უნარების განვითარების მაღალ დონეს მოითხოვს. პროფესიული ცოდნა და ლინგვისტური კომპეტენცია ენის მოხმარების ეფექტიანობას განსაზღვრავს.

დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლება თანამიმდევრულობას მოითხოვს. გზა მარტივიდან რთულისკენ სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის გამოყენებას გულისხმობს. მათ შორის, შესაძლოა, ეფექტური აღმოჩნდეს ტრადიციული და ინოვაციური მიდგომები. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ერთი მხრივ, ე.წ. ტერმინოლოგიურ ლაბორატორიას და მეორე მხრივ, სწავლებაში დარგობრივი სტატიის გამოყენებას, ცხადია, ეს უკანასკნელი უფრო რთულ ეტაპად უნდა მოვიაზროთ.

„ტერმინოლოგიური ლაბორატორია“ ენის შემსწავლელებს სახალისო და საინტერესო



დავალეებს სთავაზობს. აქ მრავალფეროვანი მასალის გამოყენებაა შესაძლებელი: ფოტო, აუდიო, ვიდეო, ტექსტური, რომ სტუდენტებმა ტერმინების ავთენტურ კონტექსტში ხმარების მაგალითები ნახონ, გააანალიზონ და თავადაც შეძლონ მათი გამოყენება. მთავარი ორიენტირი სიტყვისა და განმარტების დაკავშირებაა, ფუძისა და აფიქსის მნიშვნელობათა გააზრება და შერწყმა, რისთვისაც შეიძლება ბარათების გამოყენება, დაფაზე წინასწარ მოცემული სქემის რეალიზება ან სპეციალური ტექნოლოგიური რესურსის ჩართვა (მაგალითად, Kahoot-ის პროგრამა).

დარგობრივი სტატიის კითხვა სტუდენტებისთვის უფრო რთული დავალეებაა, თუმცა მნიშვნელოვანი. მათ შესაძლებლობა აქვთ, გადაამოწმონ თავიანთი ცოდნა. ისინი ეძებენ ნაცნობ ტერმინებს ტექსტში, მსჯელობენ კონტექსტში მათი გამოყენების თავისებურებებზე, ერთგვარად აჯამებენ ტერმინოლოგიის შესახებ მიღებულ ცოდნას.

ზემოაღნიშნული აქტივობების მთავარი მონაწილე ენის შემსწავლელია. იგი თავად „აშენებს“ ცოდნას და იმუშავებს მისი გამოყენების უნარებს. ინტერაქტიულობა მასწავლებელს გეზის მიცემის შესაძლებლობას აძლევს. სწორი ორიენტირი კი შედეგის მაქსიმალურ ეფექტურობას განაპირობებს.

## **ქამუშაძე თეა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **პანდემიის ეფექტი: სახელმწიფო, მოქალაქეები და კომუნიკაციის გზები**

კოვიდპანდემია, როგორც გლობალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს შეეხო და შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო კარგად დაგვანახა სირთულეები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც ჩვენი თანამედროვე ქართული საზოგადოება დგას. ერთ-ერთი მთავარი, რაც კოვიდპანდემიამ ვირუსთან ერთად მოგვიტანა, იყო სახელმწიფო ინსტიტუტებთან უშუალო შეხება და ურთიერთობის ახალი გამოცდილება. პანდემიამ არსებითად წარმოაჩინა სახელმწიფოს როლი კრიზისულ პირობებში, მისი სუსტი და ნაკლოვანი მხარეები. სახელმწიფო იყო ქვეყანაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები და მათი აღმასრულებელი.

მოხსენებაში განხილულია კოვიდპანდემიის პირობებში მარნეულისა და ბოლნისის რაიონების საკარანტინო ზონად გამოცხადებისას თუ როგორ იქნა აღქმული და გააზრებული ეთნიკური უმცირესობების საკითხი ქვეყნის მასშტაბით. რა სიმწვავეთ დადგა კომუნიკაციისა და ენობრივი ბარიერის საკითხები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

მნიშვნელოვანი იქნება იმის გარკვევა, თუ ზოგადად როგორია ქვემო ქართლისა და მარნეულის, როგორც ადგილის, აღქმა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებებში. რა როლი აქვთ მათ ჩვენს საერთო წარმოდგენებში საკუთრისა და „სხვის“ წარმობაში პროცესში. შესაბამისად, ვიმსჯელებთ ლოგიკაზე, რომელმაც სახელმწიფო ამ მუნიციპალიტეტების ჩაკეტვის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. რამდენად აუცილებელი, გარდაუვალი თუ კანონზომიერი იყო სახელმწიფოს მხრიდან მარნეულისა და ბოლნისის საკარანტინო ზონებად გამოცხადება. აქვე, საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია ამ მომენტის კონცეპტუალიზება, როგორც „საომარი ვითარებისა“, როდესაც პანდემიის პირობებში, ძალაუფლების გამოვლენა პოლიტიკური ონტოლოგიის ნაწილად იქცევა. როგორ ცდილობს სახელმწიფო არსებული შფოთვის სამართავად ომის ეფექტის გამოყენებას. ამგვარად საერთო შფოთვა და დაუცველობის განცდა, შიშის სახით ფორმირდება, რომელიც უფრო ადვილად კონტროლირებადს და მართვადს ხდის საზოგადოებას. ლეტინენი და ბრუნია საერთო სტატიაში, პანდემიის პოლიტიკური ონტოლოგიის შესახებ, ცდილობენ აჩვენონ, თუ როგორ

მიყვავართ სახელმწიფოს მხრიდან ომის ონტოლოგიის გამოყენებას, რასისტულ გამოვლინებებამდე, როდესაც ვირუსთან ერთად, „მტრად“, „საფრთხედ“ სხვა ერის წარმომადგენლები და სხვადასხვა უმცირესობები განიხილებიან (L ehtinen M & Brunila T 2021).

მოხსენებაში ასევე განვიხილავ, ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციას ჩაკეტვისა და შეზღუდვების დაწესებაზე, როგორც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ უკიდურეს ზომებზე. პროტესტის რა გზები და ფორმები აირჩია რაიონის მოსახლეობამ უკმაყოფილების გამოსახატავად. რამდენად ორგანიზებული იყო პროტესტი და რა კონკრეტული შედეგები მოჰყვა ამ წინააღმდეგობას. აქვე ვისაუბრებ ადაპტაციის იმ გზებზე, რომლებიც მოსახლეობამ პანდემიასთან, სახელმწიფო რეგულაციებთან თანაცხოვრებისათვის გამოიხატა.

მოხსენების დასკვნით ნაწილში ვიმსჯელებ აზერბაიჯანული თემის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე, როგორც პანდემიური რეალობის მნიშვნელოვან ნაწილზე.

## **ქაჯაია მანანა**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო*

### **კარნახი, როგორც გამომუშავებული კონცენტრაციის უნარი („კარნახის“ ზოგიერთი ასპექტი გამომუშავებული კონცენტრაციის უნარისთვის)**

ენის დამწყები შემსწავლელთათვის მეტად ცნობილი მეთოდია კარნახი. კარნახის დროს ვლინდება ის პრობლემები, რომლებიც მოსმენის, გაგების, ენის ფონემატური სტრუქტურისა და ორთოგრაფიის გააზრების დონეს ავლენს.

ნაშრომში საუბარია ჩართულობისათვის სასურველი კარნახის სხვადასხვა ტიპზე: ფონემურ, ტექსტობრივ, ორთოგრაფიულ, ტრადიციულ, გამოტოვებულ, ესტაფეტურ, თავისუფალ და შემოქმედებით, სტენოგრაფიულ და სხვა კარნახზე.

თვითშეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემსწავლელთათვის. მათ უყალიბდებათ შეცდომის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. ხაზგასმულია, რომ შეცდომის აღიარება და გამოსწორება, ენის შემსწავლელთა წინსვლის აუცილებელი პირობაა.

მოხსენებაში განხილულია წერითი დავალების სახეობები, რომელთაგან ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს წინადადებისა და ტექსტის შედგენა. ტექსტი უნდა იყოს შესწავლილი ენის სალიტერატურო მასალიდან, როგორც სტანდარტული ენის ნიმუში და აღებული უნდა იყოს თანამედროვე წყაროდან. შთამბეჭდავი ტექსტი მოტივაციას უმაღლებს შემსწავლელს.

დღესდღეობით გავრცელებულია შემოქმედებითი კარნახი, შერჩევითი კარნახი. საუბარია მათ მნიშვნელობაზე და პრაქტიკაში გამოყენებაზე.

## **ქოსიანი ქნარიკ, არუტუნიანი შუმანიკ**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

### **სომხურენოვან საჯარო სკოლაში არაფორმალური განათლების დანერგვით შექმნილი პოზიტიური გარემოს ზეგავლენა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სოციოკულტურულ და პრაგმატულ ასპექტებზე**

სათხის სომხურენოვან საჯარო სკოლაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“, შეიქმნა არაფორმალური განათლებისთვის

აუცილებელი პოზიტიური და სწავლის მასტიმულირებელი გარემო, რომელიც აღუმრავს მოსწავლეებს სურვილს, გააკეთონ პირადი არჩევანი, ჩაერთონ პროექტების დანერგვის პროცესში და გამოიყენონ ქართული, როგორც მეორე ენა, კომუნიკაციისა და სწავლისათვის. პოზიტიური სოციალურკულტურული გარემო იძლევა აზრთა სხვადასხვაობის მსჯელობის საშუალებას განსჯის გარეშე, რაც ცვლის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი და აქრობს დაცინვის შიშს, ზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას და გავლენას ახდენს ენის პრაგმატულ ასპექტებზე. ასეთი მიდგომა აიოლებს ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლას, რადგან დადებითი ემოციები ააქტიურებენ შემეცნებით პროცესებს.

## **ქურდაძე ირმა**

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **ინტერკულტურული / მულტიკულტურული განათლება და სჯსუს მასწავლებლის მომზადების კურიკულუმები**

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის არეალი მრავალეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის თანაცხოვრებას აერთიანებს, ძალზედ დიდია ინტერკულტურული / მულტიკულტურული განათლების მიმართულებით კურსების მიწოდება მომავალი მასწავლებლების მომზადების პროცესში, რადგან ინტერკულტურული განათლების არსი გამოიხატება უმრავლესობისა და უმცირესობის სწორ ინტეგრაციაში.

მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის მხარდაჭერა, პატივისცემა და თანამშრომლობა.

ფრანგი პოლიტიკოსი ედგარ ფორი (1908-1988) აღნიშნავს: „სწავლება ნიშნავს, დაეხმარო ადამიანს ცხოვრების სწავლაში“. ხოლო ინტერკულტურული განათლების იუნესკოს გზამკვლევის“ მიხედვით, ტერმინი „მულტიკულტურული“ აღწერს „საზოგადოების კულტურულად მრავალფეროვან ბუნებას. „ის არა მხოლოდ ეთნიკური ან ეროვნული კულტურის ელემენტებს აღნიშნავს, არამედ მოიცავს ლინგვისტურ, რელიგიურ და სოციოეკონომიკურ მრავალფეროვნებასაც. ინტერკულტურალიზმი დინამიკური კონცეფციაა და აღნიშნავს კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობას.“ (დ. მალაზონია, შ. მალაკელიძე, ნ.ჭიბერაშვილი, გ. გახელაძე)

მნიშვნელოვანია “კულტურისა და სასწავლო პროცესის ურთიერთმიმართების საკითხებიც“ (შ. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი.)

შესაბამისად, დიდი დატვირთვა აქვს რეგიონის მოსახლეობისათვის ყველა კულტურის წარმომადგენლის თანაბრად დაფასებას და როგორც უმრავლესობისათვის, ასევე უმცირესობისთვის თანაბარი მხარდაჭერის აღმოჩენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მასწავლებლის მომზადების პროგრამები: დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300-კრედიტიანი), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60 კრედიტიანი) პროგრამა მოიცავს კურსებს: ბილინგვური განათლების საფუძვლები, მულტიკულტურული განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია, რაც აერთიანებს ყველა ძირითად მიდგომას და მთავარ ორიენტირს ამ მიმართულებით.

ასეთი მიდგომებით მომავალი მასწავლებლის ხედვაში პრიორიტეტი ინტერკულტურული / მულტიკულტურული განათლების პრინციპების დანერგვა და ხელშეწყობა იქნება.

## შავთვალაძე ნანა

საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

### ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების A2 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

როგორც ვიცით, ენების საერთო ევროპული ჩარჩო (ჩეფლ-ჩომონ Eუროპეან Fრამეწორკ ლეფერენცე) წარმართველია ენათა დონის აღსანიშნად. ეს ეხება იმ ენებს, რომლებიც ისწავლება როგორც უცხო ენა. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილმა ინსტრუმენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ე.წ. „უცხო“ ენათა სწავლებაში. ენის სწავლებისას მნიშვნელობა აქვს იმ ოთხ მთავარ უნარს - კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა - რომლის საშუალებითაც შემსწავლელი აღწევს შედეგს. განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციურ მიდგომას, რომლის საშუალებითაც დგება, იწყება ურთიერთობა. სწავლების ამ მეთოდის აქტიურად გამოყენებით, ხელსაყრელი გზისა და ხერხების საშუალებით ახალი მიდგომები ვითარდება უცხო ენების მარტივად და სწრაფად ათვისებისთვის. ენობრივი საჭიროების იდენტიფიცირებით ზუსტად დგინდება კონკრეტული ცოდნა, ანუ ცოდნა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ დონის კომუნიკაციის ზღურბლის მისაღწევად.

ენის შეფასების სისტემა აქამდე ექვს დონედ იყო დაყოფილი - ა1, ა2, ბ1,ბ2,ც1,ც2 დონეები. შესაძლებელი და დასაშვებია თითოეული დონის ორად გაყოფა ან დანაწევრება ადგილობრივი კონტექსტის საჭიროების მიხედვით. დამატებულია +პლიუსი ნიშანი, რომლის ფუნქციითაც განისაზღვრება დონის ნაწილობრივ მეტობა. სიახლე გახლავთ ა1 დონის ქვედა საფეხურის დადგენა - პრე-ა1 დონის სახელწოდებით. საერთოდ, დონეები განისაზღვრება „შეუძლია“ აღწერით. ეს მიდგომა აღიწერა 2001 წელს, მაგრამ ამას უძღოდა ინგლისური ენისთვის გაწეული სამუშაოები -1975 წელი (თჰრესჰოლდ ლეველ). უდავოდ, არცაა გასაკვირი, რომ ამ საკითხზე ფიქრი თავიდანვე დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო. ინგლისური ენის სპეციფიკის ჩამოყალიბებას უმაღლესი მოწვევა ფრანგულიც (UN ნივეაუ შეუილ, 1976). სწორედ ეს ორი ინსტრუმენტია გამოყენებული საყრდენად იმავე ტიპის საცნობარო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შემდგომში შეიქმნა სხვა ენებისთვის თითოეული ენის თავისებური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ჩეფლ ეფუძნება და აერთიანებს ყველა ამ მიღწევას. სწორედ მან შეიმუშავა უცხო ენების დაუფლების აღწერილობა კომპეტენციისა და ქვეკომპეტენციის ტიპების მიხედვით. შექმნილი დესკრიპტორები ზოგადია, ანუ არაა მორგებული კონკრეტულ ენას. ახლა დამატებულია პრე-ა1 დონეც და ეს ყველაფერი გაწერილია შემდეგ ენებზე - ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ესპანური. ჩეფლ-ში მითითებული სპეციფიკაციები შესაძლოა ძალიან ზოგადი იყოს, მაგრამ მათი გამოყენების ველი ფართო. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება გაწერილი სკალით. სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, სხვა პროფესიონალებისთვის ეს ყველაფერი საინტერესოა, სიახლის მომცველია. ჩვენთვის საყურადღებოა A2 დონის სახელმძღვანელო, მისი აგებულება და შიდასტრუქტურა და თუ როგორ წარმოჩნდება მასში ეს მახასიათებლები.

## შაიშმელაშვილი თამარ

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### მულტიმედიური ტექნოლოგიების როლი მეორე ენის ათვისებაში

სადღეისოდ მულტიმედიური საშუალებებისა და ინტერნეტის გარეშე წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროცესი.

ცნება „მულტიმედია“ უცხოური ენების სწავლებაში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა და მისი გამოყენება ენის შემსწავლელებისთვის სამიზნე ენასთან ინტენსიური ურთიერთობის დასამყარებლად დაიწყო. ენის კურსის წარმატებით დაუფლებას ბევრად განაპირობებს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გზები, ხერხები და მეთოდები, რომლებიც ეფექტური სასწავლო პროცესის წინაპირობაა.

უნდა ითქვას, რომ კოვიდპანდემიის დროს დისტანციურ სწავლებასა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას დადებითი მხარეც ჰქონდა: ერთი მხრივ, სასწავლო საგნების ათვისებას შეუწყო ხელი და სწავლების პროდუქტიულობა გაზარდა; მეორე მხრივ, სტუდენტებმა კომუნიკაციისა და აქტიური მოსმენის უნარები გაიუმჯობესეს.

ეს გამოცდილება გასათვალისწინებელია მეორე ენის სწავლა/სწავლების დროს, ენობრივი კომპეტენციების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარების თვალსაზრისით. ენის კურსთან ინტეგრირებული ინტერნეტმედია საშუალებები მეორე ენის წარმატებით დაუფლებას ბევრად განსაზღვრავს. მათი პოტენციური ძალიან დიდია.

ტრადიციულ სასწავლო ტექსტებთან ერთად, მულტიმედიური რესურსების გამოყენება საგრძნობლად აიოლებს ენის დაუფლების პროცესს. მსმენელს უადვილდება ინფორმაციის სწრაფად აღქმა და დამახსოვრება; ხმოვანი და ვიზუალური ეფექტებით გაფორმებული ტექსტი კი ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას. სასწავლო თემის დინამიკური და სასიამოვნო ფორმით წარდგენა სტუდენტების ყურადღებას უფრო მეტად იპყრობს.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა უცხო ლექსიკური ერთეულების ათვისებისას. ელექტრონული მედიასაშუალებები ხომ ენის შესასწავლად შესანიშნავ გარემოს ქმნის. ვიზუალური და აუდიო ხერხები საგრძნობლად ეხმარება მსმენელს ელემენტარულ დონეზე სიტყვაწარმოებაში, ამა თუ იმ სიტყვის, მარტივი ფრაზოლოგიზმების გაგებაში, სიტყვათა მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვებაში, აქტიური ლექსიკური ფონდის შევსებასა და სიტყვიერი მარაგის გამდიდრებაში.

ლექსიკასთან ერთად, ელექტრონული კომუნიკაცია გრამატიკის სწავლებასაც მოიცავს მეორე ენის კონტექსტში და იმ კულტურის შესწავლასაც, რომელი ენის დაუფლებისთვისაც იღვწის მსმენელი. ტექნოლოგიურ საშუალებებს ამ მხრივ დიდი შესაძლებლობა აქვს.

სპეციალისტების განმარტებით, მულტიმედიის გონივრული გამოყენება ეფექტიანი, ინოვაციური და დადებითი შედეგების მომტანია სასწავლო პროცესში. მულტიმედიური ტექსტები, ნახატები, დიაგრამები, ფოტოები, ვიდეო და აუდიო ფრაგმენტები... ყურადღების კონცენტრაციისა და ინტონაციის დახვეწასთან ერთად, საჭირო სასწავლო პროგრამის ათვისებასა და სასწავლო პროცესების ორგანიზებას უწყობს ხელს.

სადღეისოდ აქტუალურია მულტიმედიური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა სწავლა/ სწავლების პროცესში. მულტიმედიური ტექნოლოგიები როგორც სააუდიტორიო, ისე საშინაო დავალებების შესრულებისას, მნიშვნელოვნად ზრდის ენობრივ კომპეტენციას.

## **შარაშენიძე ნინო**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **„კითხვის რესურსი“ ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებისთვის და მისი აგების პრინციპები**

„სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამაში“ არაერთგზის აღნიშნულია, რომ განსახორციელებელ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლებს ყველა საფეხურზე. ქართული ენის შესწავლისათვის დამატებითი „კითხვის რესურსის“ შექმნა სწორედ ამ მიზანს მიემართება.

კითხვის უნარის განვითარება საფუძველია ყველა სხვა უნარის განვითარებისთვის, ამავე

დროს ტექსტი იძლევა ენობრივ მექანიზმებზე დაკვირვების საშუალებასაც, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ენის გამოყენებასთან. კითხვის უნარის ეტაპობრივი განვითარება ასევე ამაღლებს წიგნიერების დონეს და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. მოხსენების მიზანია წარმოადგინოს ზოგადი სტრუქტურა საკითხავი ტექსტის დამუშავებისთვის და დამატებითი სასწავლო რესურსის შექმნის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპებზე დაფუძნებით შექმნილი მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სასკოლო სივრცეში სწავლების, ისე თვითგანვითარების მიმართულებით (კერძოდ, თვითმასწავლებლის დანიშნულებით). ეს ნიშნავს იმას, რომ მომავალში ამ მეთოდით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი რაოდენობის ტექსტი დამუშავდეს და იქცეს ახალ სასწავლო რესურსად. მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება ამ პრინციპით დამუშავებული ორი სანიმუშო ტექსტი (A 1 და B1 დონეებისთვის). ტექსტები წარმოდგენილია ენის ფლობის დონეების მიხედვით. თითოეული ტექსტი დამუშავებულია წინასწარ შექმნილი სტრუქტურის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ტექსტის ენობრივ ანალიზს და ცალკეული გრამატიკული საკითხების ასახვას პრაქტიკულ სავარჯიშოებში.

მოხსენების ძირითადი ამოცანაა სასწავლო მიზნისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოსაყენებელი რესურსების შექმნის ძირითადი პრინციპების შეთავაზება და ამ გზით იმ პრობლემის შემცირება, რაც გულისხმობს რესურსების სიმწირეს;

კითხვის რესურსისთვის მოსამზადებელი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს მრავალმხრივ გამოსაყენებელ და პრაქტიკული სავარჯიშოებით გაჯერებულ სასწავლო რესურსს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სამეტყველო უნარების, ასევე ლექსიკის გამდიდრებისა და გრამატიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

კითხვის რესურსის პრაქტიკული სახელმძღვანელო სასარგებლო რესურსი იქნება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის: ქართულის როგორც მეორე ენის შემსწავლელებისათვის, ქართული დიასპორებისთვის უცხოეთში, ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსისათვის, ქართული ენის ცოდნის ამაღლების ნებისმიერი მსურველისთვის.

## **შაშვიაშვილი მაია**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მეორე ენის დასწავლის სირთულები და მათი დაძლევის გზები დისლექსიის მქონე მოსწავლეებში**

კითხვა დინამიკური და რთული პროცესია. ზრდასრული ადამიანის კითხვის პროცესში ცნობიერდება მხოლოდ წაკითხულის შინაარსი, ხოლო ის ფსიქო-ფიზიოლოგიური ოპერაციები, რომელიც ამას წინ უსწრებს, ხორციელდება გაუცნობიერებლად, თავისთავად, ავტომატურად. (Learner, J. W. (1997)). კითხვის უნარი ასაკთან და გამოცდილებასთან ერთად ყალიბდება. თავიდან კითხვას ვსწავლობთ, შემდეგ კი, უკვე -კითხვით ვსწავლობთ. შესაბამისად, კითხვას ადამიანის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ უნარის დეფიციტი ავტომატურად იწვევს სირთულებს პროვნების წარმატების გზაზე. კითხვის ათვისებაში შეფერხება, ჩამორჩენა კითხვაში, სინონიმებია და ID-10-ის მიხედვით F 81.0 კითხვის უნარის სპეციფიკურ დარღვევად (დისლექსიად) იდენტიფიცირდება. (თ. გაგოშიძე. 2007) დისლექსია, რომელ ენაზეც არ უნდა ვსწავლობდეთ კითხვას, შემდეგ სირთულებებში ვლინდება: სიტყვების ზუსტ ან/და თავისუფლად კითხვის, მართლწერისა და დეკოდირების ცუდ შესაძლებლობებში. მისი მეორადი შედეგები შეიძლება მოიცავდეს წაკითხულის გაგების პრობლემებს, კითხვაში გამოცდილების შემცირებას, რამაც თავის მხრივ შეიძლება ლექსიკური მარაგის სიმწირე და ძირითადი ცოდნის მოცულობის ზრდის შეფერხება გამოიწვიოს. (IDA.2002) როგორც კვლევები გიჩვენებს, ეს სირთულები ასაკის, ენის თავისებურებების და სწავლის სტრატეგიების გათვალისწინებით, განსხვავებულად, თუმცა მაინც ვრცელდება მეორე ენის დასწავლაზეც. უფრო მეტიც, კიდევ უფრო მეტი სირთულით იჩენს

თავს.

კითხვის უნარის შეფასება მეორე ენის შემთხვევაში კიდევ უფრო რთული პროცესია, ვიდრე - მშობლიური ენის, რადგან ის მოიცავს არა მხოლოდ კითხვის უნარს, არამედ მეორე, უცხო ენის ცოდნასა და უნარს (Lisbeth M. Rolf V. Glenn O. 2016.). ეს სირთულე, ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი სიმწვავეით ვლინდება, ვინაიდან არ არსებობს მაღალი ცნობიერება დისლექსიის შესახებ და ამ დრომდე, შეიძლება კითხვის სირთულე პედაგოგებისა თუ მშობლების მხრიდან სიზარმაცედ მიიჩნეოდეს. ყოველივეს გათვალისწინებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მეორე ენის დასწავლისას, კიდევ უფრო ნაკლები მხარდაჭერის პირობებში რჩებიან დისლექსიის მქონე მოსწავლეები - ერთის მხრივ, მათი სირთულის შეფასება არ ხდება შესაბამისად და მეორეს მხრივ - ვერ იღებენ სათანადო მხარდაჭერას სწავლის პროცესში.

სტატიაში მოცემულია დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის მეორე ენის დასწავლის ძირითადი სირთულეები და მათი გადაჭრის გზები. არაერთი კვლევა ჩატარდა ამასთან დაკავშირებით უცხოეთში, თუმცა არ გვაქვს ანალოგიური კვლევა საქართველოში, ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის სირთულეების შესახებ. ზოგადად, დისლექსიის მქონე მოსწავლეები, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან შედარებით, მეორე ენის ათვისებისას, ნაკლებს კითხულობენ და წერენ და მათი სწავლის პროცესი სტატისტიკურად უფრო ნელია ლექსიკის ათვისებასა და მართლწერის განვითარებაში (Helland, T. Morken, F. 2016). მეორე ენის შესწავლა შეიძლება რთული იყოს განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის, ვინაიდან ისინი მშობლიური ენის დაუფლების პროცესშიც განიცდიან ფონოლოგიური ანალიზის, კითხვისა და წერის სირთულეებს.

სტატიაში მოცემული მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიების საშუალებით პედაგოგებს შეუძლიათ დაეხმარონ დისლექსიის მქონე მოსწავლეებს ლინგვისტური პოტენციალის გახსნაში, რაც მათ მულტილინგვიზმის უპირატესობებს აზიარებს და ამ პირობებში კიდევ უფრო მეტი განვითარების შანსს მისცემს. ასეთი პოზიტიური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა აუცილებელია დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის, რათა მათ სწავლის პროცესში თავი კომფორტულად იგრძნონ, რაც თავის მხრივ თავდაჯერებულობასა და სწავლის მოტივაციას გაუზრდით.

ამ გამოწვევების მიღება გადამწყვეტია მასწავლებლებისა და განათლების პოლიტიკის მესვეურთათვის, რათა ხელი შეუწყონ კითხვის სირთულის მქონე მოსწავლეებს, ქართულის როგორც მეორე ენის შესწავლის გზაზე.

## **ჩიქოვანი იამზე**

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო*

### **ლექსიკური მარაგის გამდიდრების ეფექტური მეთოდების ძიება და მათი დანერგვის გზები (მე-3 კლასის მაგალითზე)**

განათლების თანამედროვე რეფორმა განსაკუთრებით დიდ პრობლემებს აწყდება არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში აღნიშნული მოსახლეობის სრულფასოვან ინტეგრაციას ხელს უშლის სახელმწიფო ენის არცოდნა. უკვე სამი ათწლეულია ამ რეგიონებში მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც სახელმწიფო ენის შესწავლისკენაა მიმართული, თუმცა, პრობლემა მაინც აქტუალურია.

ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფი-მესამე-ე კლასი წარმოადგენს განსაკუთრებულ კატეგორიას. სწავლა მიმდინარეობს რუსულ სექტორზე, არაქართულენოვან გარემოში, არცა ერთი მოსწავლისთვის რუსული მშობლიური არაა, ამიტომ მათ უწევთ ერთდროულად სამი უცხო ენის შესწავლა-რუსული, ქართული, როგორც მეორე ენა და ინგლისური ენები.

ეთნიკურად კლასი არაა მონოეთნიკური-ერთმანეთის გვერდით სხედან აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოსწავლეები. მოსწავლეებს სამეტყველო ლექსიკა აქვთ ძალიან მწირი, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი სასწავლო მასალა საკმაოდ დიდია.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შევარჩიეთ საკვლევი თემა. კვლევისთვის გამოვყავით სამი პოსტულატი:

დეტალურად შევისწავლოთ ის სირთულეები და შემაფერხებელი გარემოებები, რაც ხელს უშლის მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის ათვისებაში

კვლევის ანალიზზე დაყრდნობით შევიმუშაოთ და პრაქტიკაში დავნერგოთ არსებული პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზები და მეთოდები და რეკომენდაციები;

ინტერვენციებით მიღწეული შედეგების შეფასება და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება კოლეგებისთვის;

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე თითქმის ყველა გაკვეთილზე დროის რაღაც გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობდა ახალი და ნაცნობი სიტყვების გააქტიურება. ამისთვის გამოყენებული იყო ყველა ის რესურსი და აქტივობა, რაც კი ჩემს ხელთ იყო და რისი განხორციელების საშუალებასაც მაძლევდა საგაკვეთილო დრო და ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის ანალიზის, არსებული გამოცდილებისა და კოლეგების უკუკავშირის შედეგად მიღებული რეკომენდაციების/უკუკავშირის გათვალისწინებით, შეიძლება შემდეგი ჰიპოთეზების ჩამოყალიბება:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება მუდმივი პროცესია და ადამიანი ამ პროცესში მაშინვე უნდა იყოს ჩაბმული, როგორც კი მეტყველებას ისწავლის
- მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ ახალი ლექსიკური ერთეულები სახალისო ფორმით, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.
- ვეცადოთ ლექსიკური მარაგის გამდიდრება მოსწავლეებისათვის ყოველდღიურ მოთხოვნილებად ვაქციოთ. ვაჩვენოთ მათ, რაც შეიძლება მეტი, ვიზუალური, ადვილად დასამახსოვრებელი საშუალება (ფერადი წიგნები და პოსტერები. მარტივი ტექსტები, ადვილად გასაგები ანიმაციური ფილმები, თვითონ შექმნან სხვადასხვა რესურსი-ტექსტები, ასოციაციური რუკები, კროსვორდები და სხვა)

## **ჩოჩიშვილი დავით**

*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **კულტურული მრავალფეროვნების რესურსის მნიშვნელობა სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე**

კულტურული მრავალფეროვნება არის პრინციპი, რომელიც ცნობს და ლეგიტიმაციას უკეთებს კულტურულ განსხვავებებს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, აგრეთვე არსებობას, თანაარსებობასა და ურთიერთქმედებას სხვადასხვა კულტურას შორის იმავე გეოგრაფიულ სივრცეში.

კულტურული მრავალფეროვნების საშუალებით შეიძლება შეფასდეს ხალხის, ქვეყნის ან რეგიონისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა კულტურული ტრადიციები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ფაქტორის წყალობით შეიცვალა ან გავლენას ახდენს სხვა ტერიტორიების კულტურულ ასპექტებზე.

კულტურული მრავალფეროვნების სწავლება აუცილებელია, რადგან მიღებული ცოდნა უფრო ამდიდრებს და მრავალმხრივს ხდის სამყაროს, რომელიც ავართობს არჩევანის დიაპაზონს და ხელს უწყობს ადამიანების შესაძლებლობებისა და ღირებულებებისათვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას. აქედან გამომდინარე, წარმოადგენს საზოგადოების, ადამიანების



და ერების განუხრელი განვითარების მამოძრავებელ ძალას.

სამოქალაქო განათლების, როგორც დისციპლინის მიზანია, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო კომპეტენციის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის.

კულტურული მრავალფეროვნების სწავლება ძალიან ძნელია შესაბამისი და ეფექტური რესურსის გარეშე. ქცევის ზოგადი ნორმების/წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა, შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ცხოვრების წესად ქცევა შესაბამისი მაგალითების, ვიზუალური და პრაქტიკული მაგალითების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე სასწავლო ხასიათის რესურსის ანალიზი, რომელთა გამოყენება სამოქალაქო განათლებაში კულტურული მრავალფეროვნების სწავლების პროცესში საკმაოდ ეფექტურია.

### **ცერცვაბე მარინე, რემიშვილი ,თამარ**

*სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს*

*ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო*

### **მრავალფეროვანი კლასის მართვა და ენის სწავლება დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მაგალითზე**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში პროგრამა) არის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენა, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში აკადემია) 2011 წლიდან წარმატებით ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. პროგრამა თავისებურებებით გამოირჩევა, მათ შორის, თუ როგორ უნდა მიაწოდო ქართული ენის სირთულე არაქართულენოვან სტუდენტებს, რა პრობლემები არსებობს მულტილინგვური სწავლების თვალსაზრისით, როგორია მრავალფეროვანი და მცირერიცხოვანი კლასის მართვის სპეციფიკა.

საერთაშორისო გამოცდილებით, მულტილინგვური სწავლების ყველაზე ეფექტური სტრატეგია:

- ინდივიდუალური მიდგომა;
- სტუდენტთა მხარდაჭერა;
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობის წახალისება;
- პროდუქტიული აქტივობები;
- გაზომვადი სასწავლო მიზნები;
- დროული უკუკავშირი;
- ჯგუფური შეხვედრების დაგეგმვა;

მრავალფეროვანი და მცირერიცხოვანი ჯგუფების შედარება, და ჩატარებული გამოკითხვის

შედეგების მიმოხილვა არის ის აქტუალური საკითხი, რომელიც აკადემიის აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელთა წინაშე არაერთხელ დადგა. არადა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია ამ თავისებურებების გათვალისწინება, მათი მოგვარების გზების უზრუნველყოფა, რაც პროგრამის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროგრამის სპეციფიკა ითვალისწინებს განმახორციელებელი პერსონალის მუშაობას როგორც მრავალფეროვან ისე მცირერიცხოვან ჯგუფთან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირერიცხოვანი კლასის სტუდენტიც უნდა გახდეს საერთო მიზნების მქონე საზოგადოების აქტიური წევრი, რაც გამოიწვევს პოზიტიურ დამოკიდებულებას და უფრო მაღალ მოლოდინებს სტუდენტებისთვის და პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის. როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი კლასები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მხარი დაუჭირონ ერთმანეთს უფრო მარტივად და გახდნენ თავდაჯერებულები. მასწავლებლებს მეტი დრო აქვთ სტუდენტის საჭიროებებთან ადაპტაციისთვის, შესაბამისი და ეფექტური აქტივობების შემუშავებისა და დაგეგმვისა და სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზისთვის. თუმცა, მასწავლებელმა არ უნდა უგულებელყოს ის ფაქტი, რომ მცირერიცხოვან კლასებს აქვთ საკუთარი უნიკალური გამოწვევები. ეს პრობლემები ადვილად გადაიჭრება, თუ მასწავლებელი კარგად არის ორგანიზებული, უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს კვირის განმავლობაში, გამოიყენებს აქტივობების მრავალფეროვნებას და ისარგებლებს საკლასო ოთახში და სწავლის დინამიკაში ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებით. ეს ყველაფერი შეიძლება გამოიკვეთოს იმ გამოკითხვის შედეგებში, რომელსაც აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს. კითხვარის შემუშავება ხდება პროგრამის მასწავლებლებთან ერთად, ხოლო გამოკითხვაში მონაწილეობას იღებენ არაქართულენოვანი სტუდენტები. შემდეგ ხდება გამოკითხვის შედეგების გაანალიზება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და კვლევის შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს.

გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რა მეთოდები და მიდგომები აქვთ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს, რა სტრატეგიებს მიმართავენ ისინი, როგორ უფითარებენ სტუდენტებს წერის, კითხვის, მოსმენის, მეტყველების და სწავლის უნარს, ასევე როგორ ხდება სტუდენტთა აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია აკადემიაში.

## **ჭაბუკიანი ფიქრია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### **სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის საკითხები `ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების` (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსის) მიხედვით**

სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ინტეგრაციის საკითხების გამოყენება, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა შეძლონ ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი. ინტეგრაცია გულისხმობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შეთვისება-აღიარებას, ყველა კულტურის თანაბრად დაფასებას, უმრავლესობისა და უმცირესობისთვის თანაბარი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები პარალელურად მიმართული უნდა იყოს მსმენელთა ინტეგრაციის პროცესზე. ენის სწავლების საბაზისო დონიდანვე ყველა სასწავლო პროცესში უნდა ჩანდეს ინტეგრაციის ელემენტები, რომელიც ენის სწავლების დონეების ზრდასთან ერთად უნდა ფართოვდებოდეს.

1+4 პროგრამა არ ემსახურება მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლებას. ქართულ ენაში

მომზადების ერთწლიანის საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას იძლევა მსმენელები ინტეგრირდნენ საუნივერსიტეტო, საქალაქო და სახელმწიფოებრივ სივრცეში.

სასწავლო კურსი ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსი) ინტეგრაციის ელემენტების გამოყენების ფართო საშუალებას იძლევა. უმაღლეს დაწესებულებებში აღნიშნული სასწავლო კურსი ძირითადად იკითხება მეორე, საგანგებო სემესტრში და გულისხმობს ინტერკულტურული და სოციოკულტურული კომპეტენციები გამომუშავებას.

ინტერკულტურული ურთიერთობა – ეს არის კულტურათაშორისი კავშირი, ურთიერთობა, რომელიც აერთიანებს ერთ სოციუმში მცხოვრებ ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ სხვა ნიშნით დიფერენცირებულ კულტურებს.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების სასწავლო კურსის თემატიკის სწავლებისას გამოყენებული მეთოდები ინტერკულტურული ასპექტების გამოყენებით ორიენტირებული უნდა იყოს არამარტო სახელმწიფო ენის სწავლების არამედ ინტეგრირების პროცესზე. სწავლებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ავთენტური მასალის გამოყენებას. თუ ავთენტური მასალა შეიცავს ინტეგრაციის ელემენტებს, მაშინ შედეგი გაცილებით უკეთესია.

მაგალითად თემის „ქალთა უფლებების“ განხილვისას ძლიერი ქალების ისტორიების გაცნობის პარალელურად დრო უნდა დაეთმოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ისტორიებსაც, მაგალითად ფარი-ხანუმ სოფიევას ისტორია...

საღიქციო თემა: კულტურული პლურალიზმი და ტრადიციები მრავალწახნაგოვანია. ინტერკულტურული ასპექტების გამოყენებით ქვეთემად შეიძლება განვიხილოთ საერთო სამოქალაქო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულები ტრადიციული წეს-ჩვეულებებით. საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ხაზგასმით. რაც მულტიკულტურალიზმისა და კულტურათშორის ერთიანობის საუკეთესო მაგალითია.

მოხსენებაში განხილული იქნება სწავლების ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები სასწავლო რესურსები, პროექტები და აქტივობები, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს სახელმწიფო ენის სწავლების პარალელურად, ეთნიკური უმცირესობების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირება.

## **ჭამპურიძე ნელი**

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მეორე ენის ათვისების ხელშემწყობი ინსტრუმენტები ადრეულ განათლებაში**

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების, ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხები, განვითარების ყველა ეტაპზე იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას. საქართველოში წიგნიერების მაჩვენებელი გაუარესებულია-ასეთია მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის PISA 2018 წლის ოფიციალური შედეგები. ვფიქრობთ, ქვეყანაში მოსწავლეთა წიგნიერების დაბალი მაჩვენებლების ძირითად მიზეზებს შორის უნდა განვიხილოთ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში არსებული გამოწვევები. ეთნიკურად მრავალფეროვან ჯგუფებში მეტყველების განვითარებისთვის საჭირო რესურსების სიმწირე კიდევ უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს აღმზრდელს. მეტყველება არ წარმოიქმნება ბავშვის ბუნებიდან, არამედ ყალიბდება მისი არსებობის პროცესში სოციალურ გარემოში, მისი გაჩენა და განვითარება გამოწვეულია კომუნიკაციის საჭიროებებით. წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიქმნება კომუნიკაციაში, იწვევს ბავშვის ენობრივი შესაძლებლობების გაჩენას და განვითარებას, კომუნიკაციის ახალი საშუალებების, მეტყველების ფორმების დაუფლებას. სკოლამდელი აღზრდის დღევანდელ სისტემაში მომსახურების დონე არაერთგვაროვანია. ძირითადი აქცენტი კეთდება აღმზრდელობით და ზრუნვის კომპონენტზე, ხოლო განათლების კომპონენტი ყურადღების

მიღმა რჩება. მულტილინგვური განათლების მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე მეტყველების განვითარების სწორად შერჩევა და გამოყენება მნიშვნელოვანია მეორე ენის ათვისების ხელშესაწყობად ადრეულ განათლებაში.

ადრეული განათლების დაწესებულებებში ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად გამიკვეთა მეტყველების განვითარების საჭირო ინსტრუმენტების და რესურსების ნაკლებობა. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სათანადო ინსტრუმენტები. საკვლევი საკითხის ირგვლივ ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით შევისწავლეთ სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციის, აღმზრდელთა და მშობელთა შეხედულებები.

სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების I საფეხური ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოხედვით სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მომავალ კურსდამთავრებულ, ადრეული განათლების პედაგოგს უნდა შეეძლოს მულტილინგვური განათლების პერსპექტივიდან ენის ათვისების ხელშეწყობა-ბავშვის ოჯახის მშობლიური ენის აღიარება და მეორე ენის ათვისების ხელშეწყობა. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელშეწყობით აქტიურად ხორციელდება სკოლამდელი განათლების კადრების პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება საქართველოში. მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. ახალ საბაკალავრო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ბილინგვური პროგრამების დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ინკლუზიურობას, წიგნიერების მზაობის ხელშეწყობას, ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და თანასწორობის უზრუნველყოფას.

## **ჭიშვილი ტატინა**

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო*

### **მოთხრობის ჟანრის გამოყენება უცხო ენის შესწავლისას არაენობრივ გარემოში**

მსოფლიოში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ, ასევე 2008 წელს და შემდეგ 2018 წელს საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა გამოიწვია ქვეყანაში რუსული ენის როლის შეცვლა. რუსული ენისადმი ინტერესის შენარჩუნება საქართველოს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით (მათ შორის, კომოდიფიკაციის პროცესით), ხოლო ჰუმანიტარულ გარემოში - ტრადიციული ინტერესით რუსული კულტურის, კერძოდ რუსული ლიტერატურის მიმართ.

ლიტერატურული ნაწარმოების ჯეროვნად წაკითხვისა და ანალიზის უნარი ერთ-ერთი მთავარი კომპეტენციაა ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას ფლობენ B1-B2 დონეზე. მასწავლებლის ამოცანაა ამ შემთხვევაში გამოუმუშაოს მოსწავლეებს ლიტერატურულ ტექსტთან მუშაობის უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, კერძოდ, გააცნოს მათ ლიტერატურული ტექსტის ენობრივი ანალიზის ტექნიკა.

რუსულის, როგორც უცხო ენის შესწავლისას, არაენობრივ გარემოში, ტექსტი ხშირად უმთავრეს როლს ასრულებს, რადგან უშუალოდ მას ეყრდნობა ენის შესწავლის შემდგომი ეტაპები. მეთოდურ ლიტერატურაში ტექსტს განიხილავენ როგორც „სამეტყველო საქმიანობის პროდუქტს, სიტყვიერ ნაწარმოებს, რომლის მეშვეობით მიიღწევა დასახული მიზანი“ [Акишина 2002, 34]. ამ მიზნით გამოიყენება მოთხრობის ჟანრი, რაც მეთოდურად სავსებით გამართლებულია. მცირე მოცულობა, სიუჟეტის გამჭვირვალობა, გმირების შეზღუდული რაოდენობა, ხშირად ერთი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა ანალიზის პროცესს უფრო

მობილურს ხდის.

ტექსტის ენობრივი ანალიზის სქემის მიხედვით, პირველ ეტაპზე ტარდება ლოგიკურ-სემანტიკური ანალიზი, რომლის დროსაც დგინდება ნაწარმოებში გაშუქებული თემები და ქვეთემები/მიკროთემები. ამას ჩვეულებრივ მოჰყვება სათაურის ანალიზი, სწორედ ის გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ თემა და იდეა.

ნაშრომში ჩვენს მიერ ჩატარებული ლინგვისტური ანალიზის ნიმუში მოცემულია ა. გრინის მოთხრობის „გველის“ მაგალითზე.

ტექსტი ნარატიულია და შეიძლება დაიყოს ოთხ მიკრო თემად: 1) ჯოისა და კოლბერის ურთიერთობის ისტორია; 2) ტყეში გასეირნება და პერსონაჟების ემოციური მდგომარეობა – ჯოის მანიპულაციური და პროვოკაციული ქმედებები; 3) გველის გამოჩენა, ჯოისა და კოლბერის ქცევა; 4) გველის მიერ ჯოის დაგესვლა და კოლბერის შემდგომი ქმედებები – ჯოისთან ბრძოლა მისივე გადარჩენისთვის; „სიყვარულით მოწამლული“ კოლბერის სიკვდილი.

ანალიზის შემდეგი ეტაპია ტექსტის ისეთი საკვანძო სიტყვების განსაზღვრა, როგორცაა **любовь и смерть - სიყვარული და სიკვდილი** (სიტყვა „სიკვდილს“ ტექსტში ავსებს ზმნა **умереть** „სიკვდილი“ და ზედსართავი სახელი **мертвый** „მკვდარი“) **яд (ядовитый) - შხამი (შხამიანი), змея - გველი**. ძირითადად ეს სიტყვები განაპირობებენ ტექსტის მთლიანობას, მაქსიმალურად განაზოგადებენ შინაარსს, ერთმანეთს უკავშირებენ მის სხვადასხვა ფრაგმენტებს.

შემდეგ ეტაპზე მიზანშეწონილია ლინგვისტური კომენტარები, რომლებიც შეიძლება იყოს სრული და შერჩევითი. მოცემულ სიტუაციაში ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ შერჩევით განმარტებას, ყურადღება გავამახვილეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე, რომელიც დამახასიათებელია გრინის ენისთვის: ერთი სიტყვათშეთანხმების ფარგლებში მოთავსება ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ერთად ქმნიან მთლიანი გამონათქვამის ახალ სემანტიკას.

ამგვარად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რუსულის, როგორც უცხო ენის, შესწავლისას მხატვრული ტექსტის ანალიზი შეიძლება მივიჩნიოთ მთავარ და მასტიმულირებელ ხერხად სწავლების პროცესში. ამ დროს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სტუდენტებში მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისა და გააზრების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

## ხეცურიანი ნანა

*საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო*

### მულტიკულტურულ გარემოში უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების გზები

მოხსენებაში განხილულია ის გამოწვევები და სირთულები, რომელთა წინაშეც დგანან უცხო ენის პედაგოგები სასწავლო პროცესში. ასევე განხილული იქნება სტრატეგიები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ უცხო ენების სწავლების პროცესზე. მოხსენებაში ძირითადი აქცენტი კეთდება ენათა შეპირისპირებითი კვლევის შედეგების გამოყენებაზე ინგლისური ენის, როგორც მეორე უცხო ენის შესწავლის უნარების შემუშავებაში.

სხვადასხვა ენის შეპირისპირებითი კვლევის გამოცდილება სასარგებლოა უცხო ენების შესწავლაში და ენობრივი ინტერფერენციის (უცხო ენების სწავლის პროცესში მშობლიური ენის გავლენის) დასაძლევის გზების დასადგენად. მომხსენებელი ასევე აქცენტს გააკეთებს მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა გზებზე ინგლისურ ენაში და მათ შესატყვისებზე ქართულ და ესპანურ ენებში. ასევე განხილული იქნება სასწავლო პროცესში გამოყენებული, აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკული სავარჯიშოები.

ეს არის ინგლისური, ქართული და ესპანური ენების პირველი კომპლექსური შესწავლა, რომელიც მოიცავს მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიის შესწავლას აღნიშნულ ენებში.

კვლევის მიზანი იყო მოდალობის გამოხატვის საშუალებების გამოვლენა შესასწავლ ენებში.

კვლევის მეთოდია გრამატიკული ანალიზის შეპირისპირებითი მეთოდი , რომელიც დაფუძნებულია ინგლისელ, ქართველ და ესპანელ მწერალთა ნაწარმოებებზე ორიგინალში და მათ შესატყვის თარგმანებზე.

ქართულ ენაში მოდალობის გამოსახატად ძირითადად გამოიყენება კილოს სხვადასხვა ფორმები, ხოლო ინგლისურ და ესპანურ ენებში ამ მიზნით გამოიყენება როგორც კილოს ფორმები, ასევე სპეციალური მოდალური ზმნები. განსხვავებები გამოვლინდა მოდალური კონსტრუქციების შედგენაში დამხმარე ზმნების მეშვეობით ინგლისურ ენაში. ქართულ ენაში კი მოდალობის გამოხატვა შესაძლებელია ლექსიკური კომპონენტის სრულმნიშვნელოვან ზმნებთან (არა სპეციალურ მოდალურ ზმნებთან) დამატებით , ისევე როგორც ინტონაციის მეშვეობით.

მოდალობის გამოხატვის შეპირისპირებითი ლინგვისტური ანალიზის შედეგების გამოყენებამ გვიჩვენა, რომ ქართული და ესპანური ენები უარყოფითი შინაარსის მოდალობის გამოსახატად ეყრდნობა მონონეგატიურ კონსტრუქციებს, ხოლო ინგლისური ენაში გამოიყენება მრავლობითი უარყოფითი კონსტრუქციები. შეპირისპირებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები მოდალობის გამოხატვაში და დაგვედგინა აღნიშნული კატეგორიის გამომხატველი იდენტური კონსტრუქციები სამ ენაში, რომლებიც განსხვავებულ ენთა ოჯახს მიეკუთვნებიან.